263. ტელეგრამები (115 ცალი) და ღია ბარათები (32 ცალი). ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავენ დაბადების 70-ე წლისთავს.

1980 წ., რუსულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე, 147 ფ.

264. ტელეგრამები: პატონი, ენგელგარდტი, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი, ემანუელი, აფონინი, კულოვი, კირილინი, სუმბაევი, სსრკ მეცნიერებათა აკადემია, კირენსკის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი, ჯელეპოვი, მიროშნიკოვი, ზელენსკი, ლაზარევი, ასიეზერი, ფაინბერგი, კლიუჩარევი, ვოლკოვი, პელეტმინსკი, დონეცკელი ფიზიკოსები, გეგუზინი, ვონსოვსკი, აბაშიძე, მისელი, ზოლოტოვი, კაპლანები, ნიკიტინი, კაგანი, ალტშულერი და ორლოვი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავენ დაბადების 70-ე წლისთავს.

1980 წ., რუსულ და ქართულ ენებზე, სულ 28 ფ.

265. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს დაბადების 70-ე წლისთავს.

1980 წ., რუსულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 2 ფ.

266. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს დაბადების 70-ე წლისთავს.

1980 წ., რუსულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 2 ფ.

267. უკრაინელი ფიზიკოსები ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავენ დაბადების 70-ე წლისთავს.

1980 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

268. აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს დაბადების 70-ე წლისთავს.



1980 წ., რუსულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 2 ფ.

269. ა. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტის კოლექტივი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს დაბადების 70-ე წლისთავს.

1980 წ., ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

270. ჰამბურგის, რომის, ნიუ-იორკის, კალიფორნიის, მიუნხენის უნივერსიტეტები და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიები ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავენ დაბადების 70-ე წლისთავს.

1980 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 10 ფ.

271. ღია ბარათები - ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავენ დაბადების 70-ე წლისთავს.

პირი: ვ. სირაძე, ტყემელაშვილი, აბუშიძე, მონასელიძე, ლორთქიფანიძე, ვორონოვი, ჭანუყვაძე და გელდიაშვილი  
1980 წ., რუსულ და ქართულ ენებზე, ხელით ნაწერი, ნაბეჭდი, სულ 6 ფ.

272. ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავენ ქართული რეაქტორის გაშვების მე-20 წლისთავს.

უთარილო, რუსულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 2 ფ.

273. ბირთვული ცენტრის კოლექტივი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს იუბილეს.

1979 წ., 25 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

274. ერევნის ფიზიკის ინსტიტუტის კოლექტივი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს იუბილეს.

უთარილო, რუსულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 2 ფ.

275. თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას“ კოლექტივი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს იუბილეს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

276. კოსმოსური კვლევების ინსტიტუტი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს იუბილეს.

უთარილო, რუსულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 1 ფ.

277. ტელგრამები - ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავენ სტალინური პრემიის მიღებას.

პირი: პროკოფიევი, რ. ლოშკარევა, ბოგოპოვი, გრიჩუნი, სულაქველიძე, ვესელოვსკაია, უხარევა, ზ. ვერნიკოვა, დ.

რუსიშვილი, ეფრუსი, თ. გოგობერიძე, ნ. ანდრონიკაშვილი, თუმანოვი, უმანსკი, მ. კუნავაძე, მამასახლისოვი, ჭავჭავანიძე, ჩიკოიძე, ვ. მაცაბერიძე, ბრავინსკი, ზინოვიევა, ე. იაშვილი, ნესმეიანოვი, თოფჩიევი, კამენეცკაია, ფეინბერგი, ივანოვები, შვარცები, ლაზარევი, ნ. მუსხელიშვილი, ხალატნიკოვი, სალნიკოვები, ე. გურევიჩი, პეშკოვი, მ. და ე. [ანდრონიკოვები], ლ. [ანდრონიკოვა], რ. აგლაძე, კოსოლაპოვი, კურკუმელი, ნ. ნოდია, ნ. ტოლსტოი, მ. და გ. მუსხელიშვილები, კურდიუმოვი, იაკოვლევი, პეტუშკოვი, თოხაძე, სამსონოვები, ვ. და კ. სიდლოვები, ბირგერი, დობროტინი, ამბარცუმიანი, სიროტინსკაია, ბოგომოლოვი, ნიკდალი, ალექსეევსკი, ბრილიანტოვი, შნეერსონი, კროგიუსი, ვეკუა, ვორობიევი, ციციშვილი, პავლოვა  
1952 წ., რუსულ და ქართულ ენებზე, 74 ფ.

278. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის კოლექტივი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს იუბილეს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

279. სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტის კოლექტივი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს იუბილეს.

უთარილო, რუსულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 2 ფ.

280. სია ტელეგრამების, რომლებიც გამოაგზავნეს საზღვარგარეთიდან ელ. ანდრონიკაშვილს იუბილესთან დაკავშირებით.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

281. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის დაბალი ტემპერატურების ფიზიკურ-ტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივი ელ. ანდრონიკაშვილს ულოცავს 75-ე წლისთავს.

1985 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

282. სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულება №872 ელ. ანდრონიკაშვილის პრემიით დაჯილდოვების შესახებ.

1948 წ., 16 აგვისტო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

283. ბრძანება №766 - სასარგებლო ინიციატივის გამოჩენისა და მნიშვნელოვანი მუშაობის შესრულებისთვის მადლობა გამოეცხადათ ელ. ანდრონიკაშვილს და სხვებს. ხელს აწერს აკად. ნ. კეცხოველი.

1948 წ., 30 ნოემბერი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

284. თბილისის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილება ელ. ანდრონიკაშვილისთვის მეორე სამეცნიერო პრემიის მინიჭების შესახებ ნაშრომისათვის „ლაბორატორიული სამუშაოები ფიზიკაში“.

1963 წ., 6 მაისი, ქართულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 2 ფ.

285. ბრძანება №513 – ელ. ანდრონიკაშვილისა და სხვათათვის მეორე ხარისხის პრემიის მინიჭების შესახებ. ხელს აწერს პროფ. ე. ხარაძე.

1963 წ., 21 მაისი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

286. სიგელი, რომლითაც საქართველოს ალკა თბილისის საქალაქო კომიტეტმა ელ. ანდრონიკაშვილი დააჯილდოვა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისთვის.

უთარილო, ქართულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 1 ფ.

287. სიგელი, რომლითაც საქართველოს კომპარტიის ორჯონიკიძის სახელობის რაიონულმა კომიტეტმა და ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ელ. ანდრონიკაშვილი დააჯილდოვა სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული მაღალი მაჩვენებლებისათვის.

1971 წ., 16 აპრილი, ქართულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 1 ფ.

288. სილექსის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის ქიმიისა და ფიზიკის ინსტიტუტი ელ. ანდრონიკაშვილს ატყობინებს, რომ იგი ბიოლოგიის სფეროში სსრკ და პოლონეთის მეცნიერთა თანამშრომლობის საქმეში გაწეული ღვაწლისთვის დააჯილდოვეს საპატიო მედლით.

1979 წ., 9 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

289. 1) ბრძანება ელ. ანდრონიკაშვილის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით მისი საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ.  
2) სიგელი, გაცემული საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ ელ. ანდრონიკაშვილის სახელზე მის 70-ე წლისთავთან დაკავშირებით.

1980 წ., 24 დეკემბერი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

290. დადგენილება ელ. ანდრონიკაშვილის და სხვა მეცნიერების საპატიო სიგელით დაჯილდოვების შესახებ.

1989 წ., 28 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

291. სიგელი, რომლითაც საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირის 50 წლისთავთან დაკავშირებით დააჯილდოვა ელ. ანდრონიკაშვილი.

უთარილო, ქართულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 1 ფ.

292. სიგელი, რომლითაც საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირის 60 წლისთავთან დაკავშირებით კომკავშირის წინაშე დამსახურებისთვის დააჯილდოვა ელ. ანდრონიკაშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 2 ფ.

293. საპატიო სიგელი, რომლითაც ელ. ანდრონიკაშვილი დაჯილდოვდა დაბადების 75-ე წლისთავთან დაკავშირებით.

1986 წ., იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

294. სადეპუტატო საქმიანობა.

პირი: სარქისიანი, გ. ფირიაშვილი, ზღაგმანი, ი. ზღაგმანი, ჩანჩალეიშვილი, ფ. ბარიშევი, ბ. აკიმენკო, მ. თოფურაძე, გ. ჩარეჩიშვილი, გ. გეგეშიძე, ა. პაპიტაშვილი, ა. დარჩია-რაჭველი, ა. ცინცაბაძე, მ. ხალატოვი, ა. ახნაზაროვა, ნოლაიცვეი, დანელია, შვანგირაძე, თევზაძე, იორამაშვილი, ბარსეგიანი, მ. მალაზიანი, ო. კატანჯიანი, დ. რუსიშვილი, სელინსკი, კარანაძე, ტრაპაიძე, ი. მარგალიტაძე, ჩუბინიძე, პატარქალიშვილი, ბარბაქაძე, ცხვედაძე, გალუაშვილი, ჯანიაშვილი, პატარკაციშვილი, ლ. თევდორაძე, კ. ციმაკურიძე, ზვონარევა, ვ. ეპიტაშვილი, ელენინა, ბიბილაშვილი, ვ. მარგველაშვილი, მელაძე, ალანია, გორდელაძე, იორამაშვილი, გრიგორიანი, ბარსეგიანი, ყუფარაძე, წაქაძე, გ. ჯავახიშვილი, ბ. გიორგაძე, კანდელაკი, ქუთათელაძე, ლაცაბიძე, ნ. გეგელაშვილი, მ. დარჩია, ვ. ჯაიანი-ზვონარევა, ბრეგმანი, სელინსკაია, ზაცორინი, გოცირიძე, პ. ლომიძე, მ. ლომიძე, ნ. ლომიძე, ნ. ნამორაძე, მ. კვირიკაშვილი, ნ. ხარაძე, მ. ჟღენტე, კუჭავა, მაღრაძე, ბუჯიაშვილი, ცქიფურიშვილი, ვ. პეტრიაშვილი, ა. კაზარიანი, ლ. ზამთარაძე, კ. გორდუზიანი, კ. მაჭავარიანი  
ტოპონიმი: თბილისი, დმანისი, კანადა, ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია, აშშ, შვეიცარია, სსრკ, საქართველო, ჩინეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უკრაინა, სომხეთი, რუსთავი, გორი, ქუთაისი, სამტრედია  
1948-1962 წწ., რუსულ და ქართულ ენებზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 95 ფ.

295. შრომითი ხელშეკრულება შემეკვეთს (ელ. ანდრონიკაშვილი) და შემსრულებელს (მექანიკოსების ბრიგადა) შორის.

1949 წ., 25 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

296. შრომითი ხელშეკრულება (3 ცალი) დადებული ელ. ანდრონიკაშვილსა და იაკოვლევს, გონჩაროვს, არეფიევს, ვიხორევს, კავერკინსა და ფრადკოვს შორის.

1949 წ., 5 ივლისი, 15 ნოემბერი, 1950 წ., 15 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

297. მრიცხველების დამზადების შესასწავლად ვ. პესკოვის ერევანში მივლინების აქტი.

1951 წ., 27 ივნისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ფანქარი, 2 ფ.

298. შრომითი ხელშეკრულება (2 ცალი) დადებული ელ. ანდრონიკაშვილსა და ა. პეტუშკოვს და ა. ფილიმონოვს შორის.

1950 წ., 22 და 25 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

299. შრომითი ხელშეკრულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მოქალაქე იაკოვლევს შორის. ხელს აწერენ: ელ. ანდრონიკაშვილი და ს. იაკოვლევი.

1951 წ., 5 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

300. ჯ. ჯამასპიშვილის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს. აცნობებს, რომ მისი ქმრის მ. ჯამასპიშვილის მკვლელს პ. მანუკიანს მოსამართლე ძოწენიძემ სასიკვდილო განაჩენი შეუცვალა 15 წლის პატიმრობით. სთხოვს, რომ დაეხმაროს სამართლიანობის აღდგენაში.

პირი: ზ. კუპატაძე, გელაშვილი, გოცირიძე, ხაჩატუროვი, ვ. გიუნტერი, გ. ტიტანოვი, ო. ხახუტაშვილი, გ. იმნაძე, მინასიანი, მ. პოხოიანი, ტ. ბუბაშვილი, ზაიჩიკი, ძოწენიძე

ტოპონიმი: მოსკოვი

1952 წ., 18 ივნისი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

301. თ. ვარსიმაშვილის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს დახმარება გაუწიოს ძვლის ტუბერკულოზით დაავადებულ წიკლაურს, რომელსაც ესაჭიროება საავადმყოფოში მოთავსება.

1954 წ., 2 აპრილი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

302. 1) ელ. ანდრონიკაშვილი კომპარტიის ქ. თბილისის საქალაქო ორგანიზაციის მდივან ე. სეხნიაშვილს სთხოვს, რომ დააჩქარონ 316-ე საარჩევნო ოლქში შემავალი სახლების კაპიტალური რემონტი.

2) იგივე შინაარსის წერილები თბილისის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მადრაძეს. კიროვის რაიკომის მდივან ზ. კვაჭაძეს და კიროვის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე კოპალეიშვილს.

1954 წ., ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 12 ფ.

303. ელ. ანდრონიკაშვილი კიროვის რაიონის სარემონტო კანტორის უფროსს აბზიანიძეს აცნობინებს, რომ სარემონტო სამუშაოების მიუხედავად რიგი მოქალაქეებისთვის კვლავ საჭიროა ჩატარდეს სამუშაოები.

1954 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

304. ელ. ანდრონიკაშვილი მიმართავს ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსს და აცნობინებს, რომ 1954 წ. 7 ნოემბრის დემონსტრაციიდან მომავალი მოქალაქე უმიზეზოდ სცემა მილიციელმა ნიაზაშვილმა. ამ სცენას თვალყურს ადევნებდა მილიციის მაიორი ჭანკოტაძე. სთხოვს დასაჯოს დამნაშავეები.

1954 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

305. 1) დმანისის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის 1955 წ. გეგმა.

- 2) დმანისის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების 1955 წლის იანვრის და სექტემბრის თვეების ანგარიში.
- 3) დმანისის რაიონში ჯანმრთელობის დაცვის ანგარიში.
- 4) ჩამონათვალი იმ აპარატურის, ინსტრუმენტების და მყარი და რბილი ინვენტარისა, რომელიც ესაჭიროება ექსპლუატაციაში შესულ დმანისის ახალ საავადმყოფოს.
- 5) საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება დმანისის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის სამუშაოების შესახებ.

პირი: შ. ზამთარაძე  
 1955 წ., სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი,  
 სულ 28 ფ.

306. ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება განათლების მინისტრ გ. ჯიბლაძეს. სთხოვს, რომ მოქალაქე მ. პერელმანი ადადგინოს სამსახურში.

1955 წ., ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

307. 1) მოქ. გოპკოს და კოტლიაროვსკაიას განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს. სთხოვენ დახმარება გაუწიოს, რათა უფლება მისცენ საპირფარეშოს მოწყობაზე.
- 2) ამონაწერი სტალინის რაიონის საბჭოს აღმასკომთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის სხდომის ოქმიდან.
- 3) სახლის გეგმა.

1956 წ., 5 მარტი, 5 მაისი, რუსულ და ქართულ ენებზე,  
 ხელით ნაწერი, ნაბეჭდი, სულ 3 ფ.

308. 1) ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა წარმოთქმული ამომრჩეველთან შეხვედრაზე.
- 2) საცნობარო მასალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის მიერ ამომრჩეველთან ანგარიშის ჩასაბარებლად.

1956 წ., 6 მაისი და 21 ივნისი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 17 ფ.

309. ამომრჩეველთა განცხადებების სარეგისტრაციო დავთარი.

1956-1957 წწ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 8 ფ.

310. სიტყვა წარმოთქმული ელ. ანდრონიკაშვილის მიერ უმაღლესი საბჭოს სესიის სხდომებზე 1956 და 1959 წელს.

1956, 1959 წწ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 33 ფ.

311. დავთარი – სადეპუტატო საქმიანობა.

პირი: ვ. ხალოტიაცი, ს. კვაჭაძე, ლ. კასრაშვილი, მ. ვეფხვაძე,  
 ა. ბახტაძე, ა. ბუაძე, გ. ბიწაძე, გ. რატიმოვი, მ. ჩუბინიძე, მ.  
 თოფურაძე, ა. ჭკუასელი, შ. მგელაძე, ი. ცაბაძე, მაღიანი, თ.  
 ცაგურია, ნ. თუშიშვილი, ა. აბულაძე, სულავა, მ. შელია, გ.  
 გომაძე, ნ. ჭელიძე, გელაშვილი, ნიკაშინი, ცაგურია,  
 ვ. გრიგოლაშვილი, მ. გაბრიჩიძე, გეგეშიძე, მ. ლომიძე, ა.

ზამთარაძე, ბ. გელდიაშვილი, კაპანაძე, სელინსკი, მელაძე, ვ. ზონარევა, გოგლიძე, ი. პსარევი, ი. პოლინცევი, შახნაზაროვა, მ. ჟღენტი, ფ. ბოიკო, დოლიძე, ა. კაზარიანი, კ. ციმაკურიძე, ფ. დუნდუა, შვანგირაძე, ა. კარანაძე, პ. კოვანოვი, მინოსიანი, პაპიტაშვილი, დარჩია, ა. ცინცაბაძე, მ. ხალატოვი, ს. სურმაგა, გოლოვკინა, გ. ანდრიაძე, თ. პაიჭაძე, ვ. ხამატიანი, მარშანია, გოგობერიძე-ჯაფარიძე, ს. მანუკიანი, ჟ. არონიშიძე, გოლოვინა, არზანოვა, ნ. ჩარკვიანი, ს. ნარიკაშვილი, ე. სეხნიაშვილი  
ტოპონიმი: ქარელი, მოსკოვი, თბილისი, რუსთავი  
1957, 1959 წწ., რუსულ და ქართულ ენებზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 124 ფ.

312. 1) ცნობარი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატისთვის, რომელსაც გამოიყენებდა ამომრჩევლისადმი მიმართვისას.

2) საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შეტყობინება ელ. ანდრონიკაშვილს.

აცნობებენ, რომ საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო ოლქში 2-3 ჯერ უნდა გამოვიდეს ამომრჩევლის წინაშე.

3) საბურთალოს საარჩევნო ოლქის საზღვრები.

1958 წ., სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 20 ფ.

313. 1) ქ. ტატიშვილის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს.

სთხოვს დახმარება აღმოუჩინოს მის ქალიშვილს მ. ქამუშაძეს, რომელმაც უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე დააგროვა 21 ქულა და მაინც გარეთ დარჩა. ერთვის მ. ქამუშაძის მიერ მიღებული ნიშნების ცნობა, რომ 1954-1958 წლებში იყო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტის წევრი.

2) ელ. ანდრონიკაშვილის წერილი ქ. ტატიშვილს.

აცნობებს, რომ მისი ქალიშვილის მ. ქამუშაძის საქმეში დარღვევას არ ჰქონია ადგილი.

1958 წ., 30 სექტემბერი, რუსულ და ქართულ ენებზე, ხელით ნაწერი, ნაბეჭდი, სულ 4 ფ.

314. 1) შახნაზაროვას 2 განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს

აცნობებს, რომ 52-ე საშუალო სკოლის ბუღალტერია მისი ქმრის შახნაზაროვის ხელფასიდან არ ურიცხავს კუთვნილ ალიმენტს. სთხოვს დახმარებას.

2) ელ. ანდრონიკაშვილის წერილი შახნაზაროვას.

აცნობებს, რომ გაეცნო დოკუმენტაციას, რომლის თანახმადაც იგი რეგულარულად იღებს ალიმენტს.

პირი: ჩერქეზია, დვალი

1958 წ., 1 აგვისტო, ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 3 ფ.

315. ა. თათეგოსიანის წერილი ელ. ანდრონიკაშვილს.

სთხოვს, რომ მოქალაქე ვ. ფირალოვს არ შეაძველდეს აივნის ქვედა ნაწილის შემოღობვა აგურით. ერთვის გალერეის სქემა.

1958 წ., 18 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 3 ფ.

316. 1) ვ. მარასალოვის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს. საბინაო პირობების გაუმჯობესებას სთხოვს.

2) ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება სტალინის სახელობის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. გრიგალაშვილს.

სთხოვს გამოეყოს სანიტარული კომისია, რომელიც ვ. მარასალოვის საცხოვრებელ პირობებს შეისწავლის.

1958 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 2 ფ.

317. 1) დ. კახიძის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს.

აცნობებს, რომ უსახსრობის გამო ვერ ახერხებს აივნის გადატიხვრას და სთხოვს ეს საქმე იქნებ რაიადმასკომმა თავის თავზე აიღოს.

2) ელ. ანდრონიკაშვილის წერილი დ. კახიძეს.

სთხოვს აცნობოს თუ პენსიაში გასვლამდე სად მუშაობდა.

3) ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება სტალინის სახელობის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. გრიგალაშვილს.

სთხოვს გასცეს განკარგულება დ. კახიძის აივნის შერემონტების შესახებ.

1958 წ., 27 სექტემბერი, ოქტომბერი, ქართულ და რუსულ ენებზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 3 ფ.

318. ხ. შაიხეტის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს.

აცნობებს, რომ მოქალაქე ნ. ხოფერიამ, რომლის ბინაში ნაქირავეები ჰქონდა ოთახი, გამოაგდო. სთხოვს დაეხმაროს საცხოვრებელი ფართის მიღებაში.

1959 წ., 8 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

319. 1) ელ. ანდრონიკაშვილის წერილი ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე დ. ბაქრაძეს. აცნობებს, რომ ამომრჩეველი, ხაიმა შაიხეტი ცხოვრობს ქირით და სთხოვს დაკმაყოფილდეს საცხოვრებელი ფართით.

2) ელ. ანდრონიკაშვილის წერილი დ. ბაქრაძეს.

აცნობებს, რომ ხ. შაიხეტი დიასახლისისა და სხვა მობინადრეთა მხრიდან განიცდის შევიწროებას ეროვნულ ნიადაგზე და რომ აუცილებელია მისი საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება.

1959 წ., 18 სექტემბერი, 1960 წ., აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, სულ 3 ფ.

320. ელ. ანდრონიკაშვილის წერილი ა. ვართანოვს.

აცნობებს, რომ სახალხო სასამართლო ვალდებულია განსახილველად მიიღოს მისი საქმე და საჭიროა გასაჩივრება.

1959 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

321. თ. ნამორაძის განცხადება. ელ. ანდრონიკაშვილს, როგორც დეპუტატს, სთხოვს, რომ სამსახურში აღდგენაში გაუწიოს დახმარება.

პირი: ლ. გვრიტიშვილი, ბნოიაში, კილასონია



1959 წ., 17 დეკემბერი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

322. ელისაბედ ერისთავის განცხადება.

ელ. ანდრონიკაშვილს აცნობებს, რომ სპორტის სასახლის მშენებლობას შეეწირა მისი საკუთარი სახლი. სთხოვს დახმარებას.

2) ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება.

ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ მიმართავს თბილისის პარტიული ორგანიზაციის თავმჯდომარე გ. გეგელიძეს.

პირი: კახაძე, ბაბუციძე

1960 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

323. 1) შამოვეის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს. როგორც დეპუტატს სთხოვს დახმარებას საბინაო პირობების გაუმჯობესებაში.

2) ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება.

ორჯონიკიძის რაიონის რაიკომის მდივანს ვ. სირაძეს სთხოვს ზემოაღნიშნულ საკითხზე დახმარებას.

1960 წ., 12 თებერვალი, აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, სულ 4 ფ.

324. ს. პარსამოვის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს.

მას, როგორც დეპუტატს, სთხოვს დახმარება გაუწიოს კუთვნილი ოთახის დაბრუნებაში, რომელშიც ომის დროს დროებით შესახლდა ე. გრიშკო, რომელიც ახლა ოთახის დათმობას არ აპირებს.

პირი: ე. გრიშკო

1960 წ., 20 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

325. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ი. მირცხულავას წარდგინება. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

1960 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

326. 1) დ. ფურცელაძის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს.

სთხოვს გაუწიოს შუამდგომლობა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების საქმეში.

2) ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება - ზემოაღნიშნული საკითხის შესახებ ორჯონიკიძის რაიონის პარტორგანიზაციის კომიტეტის მდივან ვ. სირაძეს.

1961 წ., 8 იანვარი, ქართულ და რუსულ ენებზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 2 ფ.

327. 1) ელ. ანდრონიკაშვილის წერილი გ. ფირიაშვილს.

აცნობებს, რომ მათ უკავიათ 447 კვ. მ. ფართობი.

2) გ. ფირიაშვილის წერილი ელ. ანდრონიკაშვილს.

საყვედურობს, რომ გეგმის გადაანგარიშების ნაცვლად ფართის აზომვის შესახებ აცნობა.

პირი: ანდრიაძე, დანილენკო

1961 წ., 28 იანვარი, რუსულ და ქართულ ენებზე, ნაბეჭდი, სულ 4 ფ.

328. ელ. ანდრონიკაშვილის წერილი ვიქტორ დიმიტრის ძეს.  
აცნობებს, რომ ამომრჩეველი ა. ჯანყარაშვილი ირიცხება მის საარჩევნო ოლქში,  
რის გამოც მის საქმეებს უგზავნის მას.

1961 წ., 1 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

329. 1) ხალიმ კრიმჩევეის წერილი ელ. ანდრონიკაშვილს.  
სთხოვს, რომ დახმარება გაუწიოს ბინის მიღებაში.  
2) ხ. კრიმჩევეის წერილი ელ. ანდრონიკაშვილს.  
მადლობას უხდის თბილი წერილისთვის.

1961 წ., 8 ივნისი, 15 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი,  
სულ 3 ფ.

330. ვ. აივაზოვა-რობაქიძის განცხადება.  
ელ. ანდრონიკაშვილს, როგორც დეპუტატს, სთხოვს შუამდგომლობა გაუწიოს,  
რომ რამდენიმე დღით ათხოვონ დოკუმენტები.  
2) ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება.  
ზემოაღნიშნული თხოვნით მიმართავს ორჯონიკიძის რაიონის რაიკომის  
სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგეს პ. პირველს.

1961 წ., 2, 22 აგვისტო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი,  
სულ 3 ფ.

331. ა. კარაპეტიან-კუზიანის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს.  
სთხოვს დაეხმაროს საცხოვრებელი ფართის მიღებაში, რადგან ქმარი აიძულებს  
მას და მის 7 წლის ვაჟს დატოვონ ბინა.

1961 წ., 11 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

332. 1) ფ. ბარიშევის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს.  
სთხოვს შუამდგომლობა გაუწიოს, რომ გადახედონ მის საქმეს, რომლის  
თანახმადაც მან სახელმწიფოს უნდა დაუბრუნოს 900 მანეთი.  
2) ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება სოციალური უზრუნველყოფის მინისტრ მ.  
თოფურიძეს.  
სთხოვს ზემოაღნიშნული საკითხის გადახედვას.

1962 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, სულ 2 ფ.

333. ნათანის წერილი ელ. ანდრონიკაშვილს.  
აცნობებს წარუმატებლობის მიზეზებს და სთხოვს, რომ დაკარგულის დაწვევაში  
დაეხმაროს.

1970 წ., 8 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

334. განკარგულება მივლინებების შემცირების შესახებ. ხელს აწერს ელ.  
ანდრონიკაშვილი.

1970 წ., 22 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

335. ცნობა – გ. ხუციშვილის სამეცნიერო მუშაობის მოკლე მიმოხილვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად შესაძლო წარდგენასთან დაკავშირებით. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

1973 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

336. ცნობა – ნ. ცინცაძის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად შესაძლო წარდგენის შესახებ. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

1973 წ., 29 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

337. ცნობა ფიზიკის ინსტიტუტში მიმდინარე გამოყენებითი სამუშაოების შესახებ. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

1974 წ., 17 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

338. მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის დარგში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს სესიის გადაწყვეტილება. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

1975 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

339. ელ. ანდრონიკაშვილის დასაბუთება – გ. მრეველიშვილის აშშ-ში 10 დღით გამგზავრების შესახებ.

1976 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 4 ფ.

340. ბრძანება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ პროფ. ნ. ცინცაძის დანიშვნის შესახებ. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

1981 წ., 1 იანვარი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

341. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა წარმოთქმული ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

342. გომარეთში, განახლებაში, ამამლოში, დიდ დმანისში, მუდანოში და ა. შ. მდებარე საავადმყოფოების, ლაბორატორიების, ამბულატორიების და განყოფილებების ჩამონათვალი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 10 ფ.

343. სიტყვა წარმოთქმული ელ. ანდრონიკაშვილის მიერ ამომრჩევლებთან (პლენარის პროსპექტი №111-127) შეხვედრის დროს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

344. მასალები დეპუტატების ანგარიშებისათვის.

უთარილო, რუსულ და ქართულ ენებზე, ნაბეჭდი, სულ 17 ფ.

345. ელ. ანდრონიკაშვილი - ცნობა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტისა და მისი ძირითადი სამეცნიერო კვლევების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

346. ამონაწერები განაცხადებიდან, რომლებიც ეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტისთვის მოწყობილობის შექმნას (1954 წ.). ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 15 ფ.

347. ცნობა – ნ. როინიშვილის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად შესაძლო წარდგენის შესახებ. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

348. გ. მრევლიშვილის წარდგინება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (ფიზიკა-მათემატიკის განხრით) წევრ-კორესპონდენტის თანამდებობაზე. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

349. საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ცნობარი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 23 ფ.

350. 1) ნ. ასატუროვას განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ დახმარება გაუწიოს საცხოვრებელი ფართის მიღებაში.  
2) ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება სტალინის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ვ. გრიგალაშვილს.  
სთხოვს ზემოაღნიშნული საკითხის მოგვარებას.

პირი: უიუიკინი  
1958 წ., 30 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი,  
სულ 3 ფ.

351. ელ. ანდრონიკაშვილი ლ. თოხაძეს სთხოვს, რომ აღძრას შუამდგომლობა, რათა ფიზიკის ინსტიტუტისთვის გამოიყოს დანადგარები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

352. განცხადება - ელ. ანდრონიკაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ ი. ვეკუას სთხოვს ხელსაწყოების შექმნას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

353. განცხადება - ელ. ანდრონიკაშვილი ვ. დოღგოპოლოვს სთხოვს, რომ ინსტიტუტს გამოუყონ ორი ვესტონის ნორმალური ელემენტი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

354. ა. დარჩიას 2 წერილი ელ. ანდრონიკაშვილს.  
მადლობას უხდის, რომ დაეხმარა საცხოვრებელი ფართის მიღებაში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

355. ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება.  
დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ეპიტაშვილს სთხოვს, რომ დიდუბეში ქარიშხლით დაზიანებული სახლების გადასახურად დამატებით გამოიყოს 50 ტონა თუნუქი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

356. ბათუმის, გორის, ტრამვაის, ფოთის დ. შ. ქუჩების მცხოვრებლები ითხოვენ ქუჩების მოასფალტებას და კეთილმოწყობას.

უთარილო, ქართულ ენაზე, ხელით ნაწერი, 9 ფ.

357. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა წარმოთქმული ამომრჩეველთან შეხვედრის დროს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

358. ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება - ორთოპედისა და აღდგენითი ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორს.  
სთხოვს გასცეს დასკვნა კუროჩკინას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

359. ელ. ანდრონიკაშვილის განცხადება - ქ. თბილისის მთავარ არქიტექტორ ა. თევზაძეს.  
სთხოვს აცნობოს, თუ როდის მოხდება საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარე სახლების - №19, 21 და 23-ის აღება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

## II შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

### ატომური ფიზიკა

360. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება, რომელიც წაიკითხა რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმზე. საუბარია ატომური ენერჯის სამშვიდობო მიზნებისთვის გამოყენების თაობაზე.

1957 წ., 1 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

361. ელ. ანდრონიკაშვილი – საქართველოს სსრ-ის ატომურ ცენტრში. ერთვის სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნის“ რედაქციის გამგის ა. კოზლოვას წერილი ელ. ანდრონიკაშვილს. სთხოვს ვიზირებას.

1961 წ., 18 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

362. ელ. ანდრონიკაშვილი – რა გაკეთდა? რა უნდა გაკეთდეს? (ატომური ბირთვის ნაწილაკების თვისებების შესწავლის შესახებ).

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 ფ.

363. ელ. ანდრონიკაშვილი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ატომური რეაქტორი. საუბრობს ატომური რეაქტორის დაარსებისა და იმ სამუშაოების (იონური კრისტალები, ლითონები, ზეგამტარები, ბიოლოგია და მედიცინა, ხელსაწყოთმშენებლობა, ფიზიკა და რეაქტორების ტექნიკა, იმპულსური რეაქტორი, თბილისის სამზონიანი რეაქტორი და ა. შ) შესახებ, რომლებიც იქ ტარდება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 21 ფ.

364. ელ. ანდრონიკაშვილი - 1) საქართველოში ატომური ელექტროსადგურების მშენებლობის პერსპექტივების შესახებ.

2) ბირთვული ენერჯეტიკის განვითარების პერსპექტივები.

3) ადამიანური პროგრესის კანონები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, ცხრილები, სქემები, სულ 38 ფ.

365. ბლოკნოტი – ჩანაწერები ატომური ფიზიკიდან.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 20 ფ.

### ბიბლიოგრაფია

366. ელ. ანდრონიკაშვილის სამეცნიერო შრომების ანოტირებული სია.

1946-1964 წწ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 12 ფ.

367. ელ. ანდრონიკაშვილის, ლ. მოსულიშვილის და მონასელიძის შრომების ჩამონათვალი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 12 ფ.

### ბიორგანული ქიმია

368. ელ. ანდრონიკაშვილის და ნ. ესიპოვას მიერ პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე (ბიორგანული ქიმია) წაკითხული მოხსენების სქემები.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ხელით ნაწერი, 21 ფ.

### ბიოფიზიკა

369. ელ. ანდრონიკაშვილი – ადამიანის ძვლის ტვინის თბური თვისებები. თანაავტორები: დ. მონასელიძე, ზ. ჩანჩალაშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

370. ელ. ანდრონიკაშვილი – ავთვისებიანი სიმსივნის ზრდის ზოგიერთი მოლეკულურ-ფიზიკური ასპექტები.

უთარილო, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, სულ 14 ფ.

371. ელ. ანდრონიკაშვილი – ავთვისებიანი სიმსივნის ზრდის დროს ანალიზის აქტივაცია მოლეკულის დონეზე.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

372. ელ. ანდრონიკაშვილი – ავთვისებიანი სიმსივნეების ნუკლეინის მჟავებით ზოგიერთი ელემენტის მიმყოლი რადიონობის შეკვრა. თანაავტორები: ლ. მოსულიშვილი, ვ. მანჯგალაძე, ა. ბელოკობილსკი, ნ. ხარაბაძე, ე. ეფრემოვა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 22 ფ. 4 სურათი.

373. ელ. ანდრონიკაშვილი – ავთვისებიანი ტრანსფორმაციის დაწყებასა და განვითარებაში ლითონების მონაწილეობის შესაძლო მექანიზმის შესახებ. თანაავტორი: ნ. ესიპოვა.

უთარილო, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, 19 ფ.

374. ელ. ანდრონიკაშვილი – ავთვისებიანი ტრანსფორმაციის ინიცირებასა და განვითარებაში ლითონების როლი. თანაავტორი: ნ. ესიპოვა. თავფურცელზე მინაწერია: ძვირფას ვაჟა მიხეილის ძე ოკუჯავას.

1983 წ., 19 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 20 ფ.

375. ელ. ანდრონიკაშვილი – აქტივაციური ანალიზის გამოყენება ნორმალური და სიმსივნური ნუკლეინის მუცების მიკროელემენტური შემადგენლობის შესასწავლად და მისი კორელაცია უჯრედული კომპონენტებისა და მთლიანი ქსოვილების მიკროელემენტური შემადგენლობით. ახლავს ანოტაცია.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 26 ფ.

376. ელ. ანდრონიკაშვილი – ახალი მეთოდი და მისი ისტორია. (მიკროკალორიმეტრიის შესახებ).

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

377. ელ. ანდრონიკაშვილი – ახალი რა გავიგეთ კიბოს შესახებ? (ახალ გზებზე შემდგარი ბებერი მეცნიერება).

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, შავი, შენიშვნები, სულ 15 ფ.

378. ელ. ანდრონიკაშვილი – ბიოპოლიმერების კონფორმაციული გადასვლების შესასწავლად კალორიმეტრის გამოყენება და მოლეკულური ბიოფიზიკის ზოგიერთი პრობლემა. თანაავტორები: დ. მონასელიძე, გ. მრეველიშვილი.

უთარილო, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, ერთვის შავად ნაწერი, 2 ვარიანტი, 50 ფ.

379. ელ. ანდრონიკაშვილი – ბიოპოლიმერებში შიდამოლეკულური ფაზური გადასვლები. თანაავტორი: გ. მრეველიშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

380. ელ. ანდრონიკაშვილი – ბიოპოლიმერების ხსნარებში და ქსოვილებში (ნორმალურ და სიმსივნურ) თბური პროცესების კვლევა.

უთარილო, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, 24 სურათი, სულ 46 ფ.

381. ელ. ანდრონიკაშვილი – ბიოფიზიკოსთა საერთაშორისო ფორუმი.

პირი: გ. ფრანკო, პ. ლაზარევი, ს. ვავილოვი, დოტი, სპირინი  
1972 წ., 14 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.



382. ელ. ანდრონიკაშვილი – გენეტიკური კოდის თვისება და ავთვისებიანი ტრანსფორმაციის ალბათობა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

383. ელ. ანდრონიკაშვილი – [d (F-II) ნეტროფსინის და Zn<sup>2+</sup> იონების ველებზე ერთდროული ზემოქმედების დროს მარცხენა სპირალის წარმოქმნა. განაცხადი გაიგზავნა ჟურნალ „ბიოფიზიკის“ რედაქციაში. თანაავტორები: ხარატიშვილი, ესიპოვა, უუზე, გროხოვსკი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

384. ელ. ანდრონიკაშვილი – დარტყმითი ტალღის გაგრძელების თანმდევი ზოგიერთი მოვლენის შესახებ. თანაავტორი: ბერიტაშვილი.

1943 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, ფანქრით, ნაკლული, 2 დიაგრამა, სულ 73 ფ.

385. ელ. ანდრონიკაშვილი – დიდი მოლეკულების ბიოფიზიკა. თანაავტორი: გ. მრევლიშვილი.

პირი: რამაგანდრანი, დოტი, შერაგი, ედსოლი, ვოლკენშტეინი, ვაინშტეინი, ლაზურკინი, პტიცინი, შრედინგერი, ბაევი, მირზაბეკოვი, კისელიოვი, კურჩატოვი, მონასელიძე, პრივალოვი  
ტოპონიმი: საქართველო  
უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 11 ფ.

386. ელ. ანდრონიკაშვილი – დიფერენციალური მიკროკალორიმეტრიის და ადიაბატური დაბალტემპერატურულიანი სკანირების უნარის მქონე კალორიმეტრიის ახალი მეთოდის დახმარებით ტემპერატურის ფართო ინტერვალების დროს ბიოლოგიური ობიექტების თბური თვისებების შესწავლა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 19 ფ.

387. ელ. ანდრონიკაშვილი – დნმ-ისა და ლითონების ურთიერთქმედება და მათი როლი რამდენიმე სიმსივნური პროცესის განვითარებაში.

1981 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 სურათი, 6 ფ.

388. ელ. ანდრონიკაშვილი – დნმ, ლითონები, კიბო (ბიოფიზიკოსთა საკავშირო შეკრება, მოსკოვი).

1982 წ., 3-8 აგვისტო, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, 10 სურათი, სულ 35 ფ.

389. ელ. ანდრონიკაშვილი – დნმ-ის ნატივის მოლეკულის ენტროპიის სხვაობის და მისი შემადგენელი ნუკლეოტიდების ქაოტური ნარევის დაბალტემპერატურულიანი კვლევა. თანაავტორები: გ. მრევლიშვილი, გ. ჯაფარიძე, ვ. სოხაძე, დ. ტატიშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 8 ფ.

390. ელ. ანდრონიკაშვილი – დნმ-ში ნეიტრალური იონების თავმოყრისას სპირალური ხვეულების მონაცვლეობის თერმოდინამიური ოდენობა. თანაავტორები : გ. მგელაძე, დ. მონასელიძე.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

391. ელ. ანდრონიკაშვილის და ნ. ესიპოვას სტატიის - ზოგიერთი სახეობის ავთვისებიანი ტრანსფორმაციის ინიციაციასა და განვითარებაში ლითონების როლი – ექსპერტიზის აქტი.

1982 წ., 10 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

392. ელ. ანდრონიკაშვილი – ზოგიერთი სახეობის სიმსივნური ტრანსფორმაციის განვითარებასა და ინიციაციაში ლითონების როლი..

უთარილო, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

393. ელ. ანდრონიკაშვილი – რეზიუმე: ანორმალურ და სახეცვლილ უჯრედებში DVA მოლეკულების მიერ ქრომატინის გამოყოფის თერმული პირობები.

1982 წ., 9-10 ივლისი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

394. ელ. ანდრონიკაშვილი – 80-130°C გაციებული მაკრომოლეკულებისა და ქსოვილების ხსნარების ქცევის კალორიმეტრიული გამოკვლევა. თანაავტორები: მრევლიშვილი, პრივალოვი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 12 ფ.

395. ელ. ანდრონიკაშვილი – თუთია, როგორც ნუკლეინის მჟავების ბიოსინთეზის სტიმულატორი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავი, სულ 17 ფ.

396. ელ. ანდრონიკაშვილი – თუთია და სიმსივნური ზრდა. თუთია – დეფიციტური თერაპია.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 სურათი, 6 ფ.

397. ელ. ანდრონიკაშვილი – იბადება ახალი მეცნიერება – კიბოს ბიოფიზიკა. თანაავტორი: ნ. ემანუელი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

398. ელ. ანდრონიკაშვილი – იონიზირებული რადიაციის თერაპიული მოქმედების შესაძლო მექანიზმის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

399. ელ. ანდრონიკაშვილი – კალორიმეტრიის გამოყენება ბიოსისტემების გამოსაკვლევადა. თანაავტორები: მრევლიშვილი, პრივალოვი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 სურათი, 8 ფ.

400. ელ. ანდრონიკაშვილი – კანცეროგენეზის მიკროსკოპული მოდელები. თანაავტორი: ნ. ესიპოვა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 12 ფ.

401. ელ. ანდრონიკაშვილი – კანცეროგენეზი ნეიტრონულ-აქტივაციური ანალიზის შუქში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

402. ელ. ანდრონიკაშვილი – კვლევები კიბოს ბიოფიზიკაში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ნაკლული, 7 ფ.

403. ელ. ანდრონიკაშვილი – კიბოს ვირუსულ-გენეტიკური თეორიის თანამედროვე მდგომარეობა და ბიოლოგიაში აქტივაციური ანალიზის პერსპექტივები.

1974 წ., აღმა-ატა, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 სურათი, 15 ფ.

404. ელ. ანდრონიკაშვილი – ლეიკემია და მიკროელემენტები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 20 ფ.

405. ელ. ანდრონიკაშვილი – ლეიკემიური დაავადებების დროს სისხლში ზოგიერთი მიკროელემენტის შემცველობა. თანაავტორები: ლ. მოსულიშვილი, ნ. ხარაბაძე, ო. ხულუზაური, ნ. შავლიაშვილი, ვ. კიკნაძე, ც. მაკალათია, ა. შენგელია.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავი, 10 ცხრილი, სულ 18 ფ.

406. ელ. ანდრონიკაშვილი – ლეიკოზის სხვადასხვა ფორმის დროს სისხლში ზოგიერთი მიკროელემენტის შემცველობა. თანაავტორები: ლ. მოსულიშვილი, ნ. ხარაბაძე, ო. ხულუზაური, ნ. შავლიაშვილი, ვ. კიკნაძე, ც. მაკალათია, ა. შენგელია.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ცხრილი, 1 სურათი, 8 ფ.

407. ელ. ანდრონიკაშვილი – ლითონები და კიბოს დნმ-ი.

უთარილო, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, ნაკლული, 2 ფ.

408. ელ. ანდრონიკაშვილი – ლითონები და სიმსივნური ზრდა (ორ ვარიანტად). ერთვის ექსპერტიზის აქტი, კითხვარი ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ.

1981 წ., 24 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 34 ფ.

409. ელ. ანდრონიკაშვილი – ლითონების როლი ადამიანის ავთვისებიანი სიმსივნის პროგრესში.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 9 ფ.

410. ელ. ანდრონიკაშვილი – ლითონების როლი ბაქტერიების ტრანსფორმაციაში, შექმნასა და განვითარებაში. თანაავტორი: ნ. ესიპოვა

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 12 ფ.

411. ელ. ანდრონიკაშვილი – ლითონების როლი ზოგიერთი სიმსივნური პროცესის განვითარებაში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 სურათი, 1 სქემა, 9 ფ.

412. ელ. ანდრონიკაშვილი – ლითონების როლი სიმსივნის ცვლილებებისთვის. თანაავტორი: ნ. ესიპოვა.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 14 ფ.

413. ელ. ანდრონიკაშვილი – ლითონების ურთიერთქმედება დნმ-თან და მათი როლი ზოგიერთი სიმსივნური პროცესის განვითარებაში.

1981 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

414. ელ. ანდრონიკაშვილი – ლითონოკანცეროგენები – მეცნიერების ახალი მიმართულება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 10 ფ.

415. ელ. ანდრონიკაშვილი – თეზისები - „ლითონური იონების, როგორც სიმსივნური თერაპიის შემადგენელი ნაწილის ამოღება დნმ-დან“. ერთვის თემასთან დაკავშირებით ჩატარებული კონფერენციის ორი აფიშა.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

416. ელ. ანდრონიკაშვილი – მაგნეტიზაცია და ბიომაკრომოლეკულებისა და ზემოლეკულოური სტრუქტურების ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური თვისების ცვლილება.

1987 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ნაკლული, 35 ფ.

417. ელ. ანდრონიკაშვილი – მიკროელემენტები, ბიოსინთეზი, ავთვისებიანობის ზრდა (ფაქტები, ჰიპოთეზები, გეგმები).

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 13 ფ.

418. ელ. ანდრონიკაშვილი – მიკროელემენტების შემადგენლობა კულტივირებულ, ტრანსფორმირებულ T-9 და დიპლოიდურ M-63 უჯრედებში, უჯრედის ბირთვში და დნმ-ში. თანაავტორები: ანჯაფარიძე, სტეპანოვა, ავაკოვა, მოსულიშვილი, მეფისაშვილი, ბელოკობილსკი, ხარაბაძე, ბალავეიჩი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 სურათი, 3 ცხრილი, სულ 6 ფ.

419. ელ. ანდრონიკაშვილი – მოლექულებისა და ზემოლექულური სტრუქტურების ფიზიკური და ქიმიური თვისებები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 4 ფ.

420. ელ. ანდრონიკაშვილი – მოწესრიგებული სტრუქტურის ბიოპოლიმერები და ბიოპოლიმერული ხსნარების ფაზური დიაგრამები. თანაავტორები: დ. მონასელიძე, ნ. ბაქრაძე, გ. მრეველიშვილი.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

421. ელ. ანდრონიკაშვილი – მოხსენებითი ბარათი „კიბოს ბიოფიზიკასთან“ დაკავშირებული კვლევების შედეგების შესახებ.

1985 წ., დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

422. ელ. ანდრონიკაშვილი – მოხსენება, რომელიც ყრილობაზე წაიკითხა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 7 ფ.

423. ელ. ანდრონიკაშვილი – საუბარია დნმ-ზე ლითონების მოქმედების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, დედანი, 2 ცხრილი, თავნაკლული, 9 ფ.

424. ელ. ანდრონიკაშვილი – მოხსენებითი ბარათი. საუბარია მოლექულური ბიოლოგიისა და მოლექულური გენეტიკის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

425. ელ. ანდრონიკაშვილი – მუტაგენეზისა და კანცეროგენეზის საკითხის დღევანდელი მდგომარეობა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ფოტოფირი, 12 ფ.

426. ელ. ანდრონიკაშვილი – მუტაგენეზისა და კანცეროგენეზის საკითხის თანამედროვე მდგომარეობა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ერთვის შენიშვნები, ხელით ნაწერი, სულ 8 ფ.

427. ელ. ანდრონიკაშვილი – მუტაგენეზისა და კანცეროგენეზის საკითხის თანამედროვე მდგომარეობა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ერთვის შავად ნაწერი, სულ 24 ფ.

428. ელ. ანდრონიკაშვილი – ნეიტრალური მარილების მაღალი კონცენტრაციის მქონე იონების დროს სპირალ-გორგალის დნმ-ში გადასვლის თერმოდინამიური სიდიდეები. თანაავტორები: გ. მგელაძე, დ. მონასელიძე.

1975 წ., 10 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 სურათი, 2 ფ.

429. ელ. ანდრონიკაშვილი – ნეიტრონო-აქტივაციური ანალიზი (HAA), როგორც საშუალება ავთვისებიანი ახალი წარმონაქმნების შესასწავლად.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 15 ფ.

430. ელ. ანდრონიკაშვილი – ნეიტრონული ანალიზის აქტივაცია უჯრედული სტრუქტურების დონეზე.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, ნაკლული, 7 ფ.

431. ელ. ანდრონიკაშვილი – ნორმალური ადამიანური ლეიკემიური კულტურებიდან გამოყოფილი ნუკლეინის მჟავებისა და ჰისტონების ანტივაციური ანალიზი (ეძღვნება პროფ. სიდნეი ფარბერის ხსოვნას). თანაავტორები: ლ. მოსულიშვილი, ა. ბელოკობილსკი, ნ. ხარაბაძე, ნ. შონია, გ. ფოლკი, ლ. დესაი.

უთარილო, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, 4 ცხრილი, სულ 13 ფ.

432. ელ. ანდრონიკაშვილი – ნორმალურ და სიმსივნურ უჯრედებსა და სკალეებში წყლის გადაბმის სტრუქტურა და ფუნქციური როლი..

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ნაკლული, 6 ფ.

433. ელ. ანდრონიკაშვილი – ნორმალური და სიმსივნური ქსოვილებიდან მიღებული ცილების მაკრომოლეკულებსა და ნუკლეინის მჟავებში ფიზიკურ-ქიმიური ცვლილებები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

434. ელ. ანდრონიკაშვილი – ნორმალური ქსოვილებიდან გამოყოფილ მაკრომოლეკულებში, ცილებში და ბირთვის მჟავებში ფიზიკურ-ქიმიური ცვლილებები.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

435. ელ. ანდრონიკაშვილი – ნუკლეოტიდების, ნახევარნუკლეოტიდების და ბუნებრივი დნმ-ის დაბალტემპერატურული თბური თვისება და ჰიდრატაცია. თანაავტორები: გ. მრეკლიშვილი, გ. ჯაფარიძე, ვ. სოხაძე, დ. ტატიშვილი, ლ. ორველაშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 3 ცხრილი, 27 სურათი, 25 ფ.

436. ელ. ანდრონიკაშვილი – რამდენიმე ფაქტი კიბოს ბიოფიზიკის სფეროდან.

1982 წ., 15 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

437. ელ. ანდრონიკაშვილი – რამდენიმე ფაქტი კიბოს ბიოფიზიკის სფეროდან.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 10 ფ.

438. ელ. ანდრონიკაშვილი – საერთო რენტგენული დასხივების შემდეგ თაგვების ზოგიერთი ორგანოს სუბუჯრედების ფრაქციებში მიკროელემენტების შემცველობის შესწავლა. თანაავტორები: ტყეშელაშვილი, მეფისაშვილი, მოსულიშვილი, შონია, ბელოკობილსკი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ცხრილი, 11 ფ.

439. ელ. ანდრონიკაშვილი – სარკომა M-I-ის დროს ჰიპოთალამუსის, ჰიპოკამპის, და თავის ტვინის ქერქის ელემენტების შემადგენლობაში ცვლილებების აღმოჩენა. თანაავტორები: ნ. ბაღდავაძე, ლ. მოსულიშვილი, ლ. ლეჟავა, ლ. ტაბატაძე, ა. რჩეულიშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

440. ელ. ანდრონიკაშვილი - სიმსივნურ ქსოვილებში წყლის მდგომარეობის შესახებ. თანაავტორი: გ. მრევლიშვილი

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 სურათი, 14 ფ.

441. ელ. ანდრონიკაშვილი – სისხლში თუთიის და შრატის (მიკროგრამებში) შემცველობა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

442. ელ. ანდრონიკაშვილი – სიცოცხლე; არასიცოცხლე; ფიზიკა.

პირი: პ. პრივალოვი, გ. მრევლიშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავი, 4 ფ.

443. ელ. ანდრონიკაშვილი – სკანირებადი მიკროკალორიმეტრია - ბიოლოგიური მაკრომოლეკულების შესწავლის ახალი მეთოდი (1963-1977). თანაავტორები: ვ. პლოტნიკოვი, პ. პრივალოვი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 20 ფ.

444. ელ. ანდრონიკაშვილი – სკანირების უნარის მქონე მიკროკალორიმეტრის – ბიოლოგიური სისტემის შესწავლის ახალი მეთოდის განვითარება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ნაკლული. 5 ფ.

445. ელ. ანდრონიკაშვილი – სტატიაში საუბარია ავთვისებიანი სიმსივნის დროს დნმ-ში იონების გაზრდის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ნაკლული, 4 ფ.

446. ელ. ანდრონიკაშვილი – სხვადასხვა სარკომის დროს სიმსივნის მატარებელი თავგების ცალკეულ ორგანოებში მიკროელემენტების შემცველობა. თანაავტორები: ლ. მოსულიშვილი, ა. ბელოკობილსკი, ნ. ხარაბაძე, ნ. შონია.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ცხრილი, დიაპოზიტივების სათაური, სულ 8 ფ.

447. ელ. ანდრონიკაშვილი – ფიზიკური თვისებები გენური კოდის ავთვისებიანად გადაქცევისას. თანაავტორი: ნ. ესიპოვა.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, ერთვის შავად ნაწერი, 3 ფ.

448. ელ. ანდრონიკაშვილი – ფიზიკური პროცესების კვლევები ნორმალურ და სიმსივნურ ქსოვილებში მათი გაციებისა და გახურების დროს. თანაავტორები: გ. მრევლიშვილი, მონასელიძე, ბაქრაძე, მოსულიშვილი, მანჯგალაძე, კიზირია, ლგოვა, ჩანჩალაშვილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 14 ფ.

449. ელ. ანდრონიკაშვილი – ქსოვილების კვლევისას კიბოს დამარცხება (შემოკლებული ვარიანტი).

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

450. ელ. ანდრონიკაშვილი – შიდამოლეკულური ფაზური გადასვლები ბიოპოლიმერებში. თანაავტორი: გ. მრევლიშვილი.

უთარილო, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, ნაკლული, სულ 20 ფ.

451. ელ. ანდრონიკაშვილი – ძველი მეცნიერება ახალ გზებზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

452. ელ. ანდრონიკაშვილი – წერტილოვანი მუტაციის როლი კანცეროგენეზში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

453. ელ. ანდრონიკაშვილი – წყალი კრიობიოფიზიკურ კვლევებში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

## ბირთვული ფიზიკა

454. ელ. ანდრონიკაშვილი – კვლევითი ბირთვული რეაქტორის IPT-2000-ის გაშვება. თანაავტორები: ვ. გომელაური, გ. ქარუმიძე, გ. გარსევანიშვილი.



1960 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 44 ფ.

455. ელ. ანდრონიკაშვილი – 1961 წ. რეაქტორების თემაზე ლენინგრადში გამართულ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენების მონახაზი.

1961 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 6 ფ.

456. ელ. ანდრონიკაშვილი – როგორ ტარდება ცდები ბირთვულ რეაქტორში.

1962 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ერთვის დედანი, 13 ფ.

457. ელ. ანდრონიკაშვილი – მოხსენება, რომელიც წაკითხა ბირთვულ ფორუმზე.

1963 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

458. ელ. ანდრონიკაშვილი – ბირთვულ ფორუმზე.

1963 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

459. ელ. ანდრონიკაშვილი – ატომური რეაქტორების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

460. ელ. ანდრონიკაშვილი – ახალი რეაქტორი მწყობრში შედის.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

461. ელ. ანდრონიკაშვილი – ბირთვული ფიზიკა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, თავნაკლული, 10 ფ.

462. ელ. ანდრონიკაშვილი – მოხსენება ბირთვული ფიზიკის მიერ საკუთარი ხარჯების დაფარვის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, თავნაკლული, 3 ფ.

463. ელ. ანდრონიკაშვილი – ბირთვული გამოსხივების მოქმედება იონური კრისტალების მექანიკურ თვისებებზე. თანაავტორები: პოლიტოვი, ვოროჟეიკინა, გეთია.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 18 ფ.

464. ელ. ანდრონიკაშვილი – ბირთვულ რეაქტორ ИРТ-2000-ში ტემპერატურის ფართო დიაპაზონში მასალების სიბლანტის შიდაარსული განსაზღვრა. თანაავტორები: დოლიძე, კაციტაძე, ნასყიდაშვილი, ჩაჩანიძე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 ფ.

465. ელ. ანდრონიკაშვილი – ბირთვულ რეაქტორში დასხივებული ფთორიუმისა და ლითიუმის მონოკრისტალებიდან და ფხვნილიდან თრითიუმის გამოყოფა. თანაავტორები: თ. ცეცხლაძე, ე. ტიმოფეევა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

466. ელ. ანდრონიკაშვილი – ბირთვულ რეაქტორში დასხივებული L-H-ის პოლიკრისტალებიდან თრითიუმის გამოყოფა. თანაავტორები: თ. ცეცხლაძე, ე. ტიმოფეევა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

467. ელ. ანდრონიკაშვილი – ინდიუმგალიუმის ცირკულაციური მარყუჟი რეაქტორში მძლავრი გამა-ნაკადის მისაღებად. თანაავტორები: ვ. ბუდა, ვ. გამბარიანი, კ. კიკნაძე, ბ. ლიტვინოვი, რ. ლუდვიგოვი, ი. ნატალენკო, ლ. ფელდმანი, ე. ჭანტურია.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

468. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება, რომელიც წაიკითხა რეაქტორის გახსნის დღეს გამართულ სამეცნიერო სესიაზე.

უთარილო., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 14 ფ.

469. ელ. ანდრონიკაშვილი – შეუძლია თუ არა ბირთვულ რეაქტორს მოგვცეს სუფთა გამა-სხივები?

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, დედანი, 14 ფ.

470. ელ. ანდრონიკაშვილი – როგორაა მოწყობილი ბირთვული რეაქტორი ИРТ-2000.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 სურათი, 55 ფ.

471. ელ. ანდრონიკაშვილი – სსრკ-ში კვლევითი რეაქტორების გამოყენების მიმოხილვა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 სურათი, 10 ფ.

## გამოყენებითი ფიზიკა

472. ელ. ანდრონიკაშვილი – ბირთვულ ფიზიკაში გამოყენებითი კვლევების განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დანერგვის საკითხისათვის.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ნაკლული, 3 ფ.

473. ელ. ანდრონიკაშვილი – საქართველოს სახალხო მეურნეობაში ბირთვული ფიზიკის მეთოდების გამოყენების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

## გეგმები და ანგარიშები

474. ბირთვული ცენტრის განყოფილების გეგმა – ამოცანების (1966. XII – 1976. XII ) დამტკიცება. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

[1966 წ.], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

475. 1) ბირთვული რეაქტორის IPT-2000-ის კაპიტალური რემონტისა და პროფილაქტიკის გეგმა-გრაფიკის დამტკიცება. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

2) ბირთვული რეაქტორის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული მითითებები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 1 სურათი, სულ 11 ფ.

476. ელ. ანდრონიკაშვილი – საქართველოში ბიოფიზიკის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 12 ფ.

477. ელ. ანდრონიკაშვილი – საქართველოში ფიზიკის მეცნიერების განვითარების პროგნოზი, ბიოფიზიკა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ნაკლული, 1 ფ.

478. ელ. ანდრონიკაშვილი – ფიზიკის ინსტიტუტში მიმდინარე სამუშაოები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

479. ელ. ანდრონიკაშვილი – ფიზიკის ინსტიტუტში მყარი სხეულების ფიზიკის დარგში პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

480. ელ. ანდრონიკაშვილის 1956 წლის ანგარიში.

1956 წ., თებერვალი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

481. ელ. ანდრონიკაშვილის მოკლე ანგარიში ლუწობის პრობლემის შესახებ, რომლის თაობაზე დისკუსია გაიმართა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიეძღვნა იზოტოპების გამოყენებას სამეცნიერო კვლევებში.

1957 წ., სექტემბერი, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 20 ფ.

482. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში 1957 წ. სექტემბერში პარიზში გამართული კონფერენციის (რადიო-იზოტოპები) მუშაობის შესახებ.

1957 წ., 21 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 15 ფ.

483. ელ. ანდრონიკაშვილის 1958 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში.

1959 წ., 29 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

484. ელ. ანდრონიკაშვილის 1959 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში.

1959 წ., დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

485. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში 1960 წლის მარტ-აპრილის თვეში ინგლისში მივლინების შესახებ.

1960 წ., აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 20 ფ.

486. ელ. ანდრონიკაშვილის 1960 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში.

1961 წ., იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

487. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში 1961 წლის ოქტომბერში ვენაში მიმდინარე საერთაშორისო სიმპოზიუმში (რეაქტორების შესწავლისა და გამოყენების პროგრამების შემუშავება) მონაწილეობის შესახებ.

1961 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 16 ფ.

488. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში 1964 წ. ნიუ-იორკში ატომური ენერჯების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის დელეგაციის სამეცნიერო მივლინების შესახებ.

1964 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ფანქარი, 11 ფ.

489. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში 1963 წ. ოქტომბერში და 1965 წ. აპრილში ატომური რეაქტორის NPT-2000-ის მუშაობის შესახებ.

[1965 წ. აპრილი], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 16 ფ.

490. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში 1965 წ. 6-17 სექტემბერს ლონდონში კოსმოსური სხივების ფიზიკაში მიმდინარე IX საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ.

1965 წ., 20 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

491. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში 1966 წ. 1-12 დეკემბერს საბჭოთა დელეგაციის იტალიაში მივლინების შესახებ. თემა: ატომური ენერჯების გამოყენება.

1966 წ., დეკემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 20 ფ.

492. სსრკ ატომური ენერჯის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის წევრის ელ. ანდრონიკაშვილის 1966 წ. 1-12 დეკემბერს იტალიაში მივლინების ანგარიში.

1966 წ., დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 20 ფ.

493. ელ. ანდრონიკაშვილის 1966 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში.

1967 წ. იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

494. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში საფრანგეთში მივლინების (დაბალი ტემპერატურების ფიზიკაში მიმდინარე სამუშაოების გაცნობა) შესახებ.

1967 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 20 ფ.

495. ელ. ანდრონიკაშვილის 1969 წლის ანგარიში.

1969 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

496. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში დასავლეთ გერმანიაში სამეცნიერო მივლინების შესახებ.

1970 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 39 ფ.

497. ელ. ანდრონიკაშვილის 1970 წლის ანგარიში.

1970 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

498. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში 1972 წ. 20-24 სექტემბერს ქ. ვაშინგტონში ჩატარებული მე-14 თეორიული და გამოყენებითი ფიზიკის ინტერნაციონალური კავშირის გენერალური ასამბლეის შესახებ.

1972 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 24 ფ.

499. ელ. ანდრონიკაშვილის 1972 წლის ანგარიში.

1972 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

500. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში აშშ-ში თეორეტიკული და გამოყენებითი ფიზიკის ინტერნაციონალური კავშირის მე-14 გენერალურ ასამბლეაში მონაწილეობის შესახებ.

1972 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 18 ფ.

501. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში ნორჩ ფიზიკოსთა VI საკავშირო ოლიმპიადის ჩატარების შესახებ.

1972 წ., აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

502. ელ. ანდრონიკაშვილის ანგარიში შვედეთში მედიცინის ფიზიკის დარგში გამართული III საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ. ერთვის

შვედეთის რადიოთი გამოსვლისას ელ. ანდრონიკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

1972 წ., 5 აგვისტო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, დედანი, 7 ფ.

503. ელ. ანდრონიკაშვილის 1972 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში.

1973 წ., 3 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

504. ელ. ანდრონიკაშვილის 1973 წლის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში.

1974 წ., 6 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 4 ფ.

785. ელ. ანდრონიკაშვილი – „ზოგიერთი პრაქტიკული შენიშვნა ხელოვნური რადიოაქტიურობისთვის“. საუბარია მანგანუმის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 4 ფ.

786. ელ. ანდრონიკაშვილის პასუხები „ლიტერატურული გაზეთის“ კითხვარზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

787. ელ. ანდრონიკაშვილის პასუხები „ლიტერატურული გაზეთის“ რუბრიკის „მეცნიერება და საზოგადოების“ შეკითხვებზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 3 ფ.

788. ელ. ანდრონიკაშვილი - მეცნიერება და საზოგადოება. ჟურნალ „ლიტერატურული საქართველოსთვის“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 23 ფ.

789. ელ. ანდრონიკაშვილი – სამეცნიერო და მეცნიერების დარგების კავშირები. საუბარია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის სტუმრებზე და მოცემულია ინსტიტუტში მიმდინარე სამუშაოების მოკლე დახასიათებები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

790. ელ. ანდრონიკაშვილი – კიბო: ფიზიკოსის თვალსაზრისი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 ფ.

791. ელ. ანდრონიკაშვილის ბარგის საფასურის გადახდის და ფულის მიღების ქვითრები.

1963 წ., რუსულ და ქართულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 20 ფ.

## სიტყვები, გამოსვლები და მოხსენებები

792. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული ნახევარგამტარების თეორიისადმი მიძღვნილ საკავშირო თათბირზე.

1960 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ერთვის დედანი, 5 ფ.

793. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ძირითადი პრობლემების, მისი ურთიერთობების როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან. აკადემიის ინსტიტუტებსა და წარმოებას შორის არსებული კავშირების შესახებ და ა. შ. მოხსენება დაუწერია ნ. მუსხელიშვილის დავალებით.

1961 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 ფ.

794. ელ. ანდრონიკაშვილის მიმართვა – ახალგაზსნილი კიბერნეტიკის ინსტიტუტისადმი.

1961 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

795. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – საუბარია სსრკ რესპუბლიკებს შორის კოორდინირებული მუშაობის საჭიროების შესახებ.

1962 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ორ ვარიანტად, 18 ფ.

796. [ელ. ანდრონიკაშვილი] – თეზისები: „მეცნიერება და საზოგადოება“. წაიკითხა თბილისის უნივერსიტეტში – სემინარზე.

1962 წ., 26 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 13 ფ.

797. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – საკითხები, რომლებიც განხილვას საჭიროებენ.

1963 წ., იანვარი, ბაკურიანი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 6 ფ.

798. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენების „მრეწველობაში მეცნიერების მიღწევების დანერგვის შესახებ“ – სტენოგრაფიული ჩანაწერი. ერთვის ს. დურმიშიძის წერილი ელ. ანდრონიკაშვილს. ატყობინებს, რომ უგზავნის ზემოხსენებულ სტენოგრაფიულ ჩანაწერს.

1966 წ., 28 მაისი, რუსულ და ქართულ ენებზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

799. 1) ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა წარმოთქმული გ. ჩიქოვანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (4 ვარიანტად).

2) [ელ. ანდრონიკაშვილის] წერილი უმაღლესი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე ვ. ელიუტინს.

სთხოვს, რომ გ. ჩიქოვანს სიკვდილის შემდეგ მიანიჭონ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი.

3) ი. პროკოშკინის, ა. ალიხანინის, ვ. ჯელეპოვის, ბ. პონტეკორგოს, ა. ტიაპკინის რეცენზიები გ. ჩიქოვანის შრომებზე.

4) გ. ჩიქოვანის შრომების ჩამონათვალი.

1968 წ., მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 50 ფ.

5) ნეკროლოგი (2 ცალი) გ. ჩიქოვანზე. გაზეთები: „კომუნისტი“ და „Вечерний Тбилиси“.

6) სამძიმრის ტელეგრამები გ. ჩიქოვანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

[1968 წ.], რუსულ და ინგლისურ ენებზე, 40 ცალი.

800. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება - „თანამედროვე სამეცნიერო ჟურნალისტიკის ზოგიერთი ამოცანის შესახებ“. წაიკითხა თბილისში, ჟურნალისტთა სემინარზე.

1969 წ., 22-25 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

801. ელ. ანდრონიკაშვილის დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით წარმოთქმული სიტყვა.

[1980 წ.], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

802. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, დაწერილი ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის გახსნასთან დაკავშირებით.

1981 წ., 23 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

803. ელ. ანდრონიკაშვილი - „ამოცანები შესრულებულია (კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში ქართული მეცნიერების მონაწილეობა“).

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

804. ელ. ანდრონიკაშვილის მიმართვა მე-11 კლასელებისადმი. საუბარია ფიზიკის როლზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

805. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის (ერთი ინსტიტუტის შემოქმედებითი შესაძლებლობების კოლექტიური გამოყენების შესახებ).

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ბოლონაკლული, 5 ფ.

806. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – თანამედროვე ფიზიკის ზოგიერთი პრობლემა და მათი განვითარება საქართველოში.

პირი: ჩიქოვანი, როინიშვილი, მიხაილოვი, მ. კვლდიში, პ. კაპიცა,



ლ. ლანდაუ, ჯ. წაქაძე, ი. მამალაძე, გ. მრევლიშვილი, დ. მონასელიძე, ი. ბაქრაძე, ზ. ჩანჩალაშვილი  
ტოპონიმი: სსრკ, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი, გფრ, გდრ, ინგლისი, აშშ, პოლონეთი, ბულგარეთი, ცერნი, სტენფორდი, ჰამბურგი  
უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 16 ფ.

807. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება „ლენინური პრემია – ლენინურ დღეებში“. საუბარია გ. ჩიქოვანისთვის, ვ. როინიშვილისა და სხვათათვის ლენინური პრემიის მინიჭების შესახებ ტრეკული ნაპერწკლოვანი კამერის შექმნისთვის.

უთარილო, ქართულ და რუსულ ენებზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 8 ფ.

808. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება - მეცნიერების განვითარების ძირითადი მიმართულებები და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 13 სურათი, 54 ფ.

809. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება მეცნიერებისა და საზოგადოების ურთიერთობების შესახებ. ერთვის 4 ფურცელი, სადაც ჩამოწერილია გვარები, რომელთაც გვერდზე მიწერილი აქვთ: სასამართლო საქმე საკარმიდამო ნაკვეთის შესახებ, კვარტალში შესრულებული სამუშაოს წარდგინება და ა.შ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 13 ფ.

810. 1) ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება - რითი ცხოვრობენ და სუნთქავენ ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერები.

2) ნ. როინიშვილის მოხსენება – ჩვენი ინსტიტუტის ადამიანები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 5 ფ.

811. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება სამეცნიერო ხელმძღვანელის როლის შესახებ თანამშრომლებთან დამოკიდებულებასა და საქმიანობაში

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 3 ფ.

812. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – საქართველოში სამეცნიერო პოლიტიკა და მწარმოებლური ძალების განვითარება.

უთარილო, რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 21 ფ.

813. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება მეცნიერებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 ფ.

814. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთქმედების, სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის, ენერგეტიკის შესახებ და ა. შ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

815. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება „მეცნიერება და ტექნიკა: - ხელოვნება და იდეოლოგია“. დაიწერა „Ленинских чтений“-ს ორგანიზატორების დავალებით, რათა გაერკვიათ თუ როგორ მოქმედებს მეცნიერება საზოგადოებაზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 22 ფ.

816. ელ. ანდრონიკაშვილის მიმოხილვითი ხასიათის მოხსენება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, თავნაკლული, 5 ფ.

817. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება - „რამდენიმე წინადადება საბჭოთა მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებით“.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

818. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – რეორგანიზაციის წინ მეცნიერების მართვა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

819. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება - საერთაშორისო სიმპოზიუმი ბიოკალორიმეტრიაში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 4 ფ.

820. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – საუბარია იმ დაბრკოლებების შესახებ, რომლებიც ფიზიკის ინსტიტუტს თავისი განვითარების გზაზე ხვდება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ბოლონაკლული, 4 ფ.

821. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – საქართველოში ფიზიკის განვითარების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 9 ფ.

822. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება ფიზიკის ინსტიტუტში მიმდინარე სამუშაოების შესახებ. (მყარი სხეულების ფიზიკა). თხოულობს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტი შეიყვანონ იმ ინსტიტუტთა სიაში, რომლებსაც ევალუბათ მეცნიერების ავტომატიზაციის პრინციპების დამუშავება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, თავნაკლული, 10 ფ.

823. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – ფუნდამენტალური და გამოყენებითი მეცნიერებები. არის მათ შორის წინააღმდეგობა?.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 9 ფ.

824. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება – ფუნდამენტალური და გამოყენებითი მეცნიერებები. არის მათ შორის წინააღმდეგობა?.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

825. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული დისკუსიის დროს, რომელიც კადრების მომზადებას ეხებოდა.

პირი: ნილს ბორი, ტამი, ჩიქოვანი, მანჯავიძე, როინიშვილი, ბიბილაშვილი, ნასყიდაშვილი, მამალაძე, მრევლიშვილი, ბაქრაძე, მონასელიძე

ტოპონიმი: საქართველო

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

826. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა – ვიგონებთ ვაგან ივანეს ძე მამასახლისოვს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

827. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა – „ლენინის პრემია ქართველ მეცნიერს“. (ა. თავსელიძეს).

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

828. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული კ. მაღალაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

829. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული ნ. ნოდის ტრაგიკულ სიკვდილთან დაკავშირებით.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 1 ფ.

830. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე გ. მრევლიშვილის მოხსენებასთან დაკავშირებით.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, დედანი, 2 ფ.

831. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული გ. ჩიქოვანისა და ვ. როინიშვილისთვის ლენინური პრემიის მინიჭებასთან დაკავშირებით.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 5 ფ.

832. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერთა წინაშე გამოსვლისას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 15 ფ.

833. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული კოსმოსური სხივების I რესპუბლიკური კონფერენციის გახსნისას და დახურვისას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, სულ 9 ფ.

834. ელ. ანდრონიკაშვილის გამოსამშვიდობებელი სიტყვა, წარმოთქმული ვ. მამასახლისოვის გარდაცვალების გამო.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 2 ფ.

835. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული ს. ვერნოვის დაბადების მე-60 წლისთავთან დაკავშირებით.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

836. ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვა, წარმოთქმული გ. მრევლიშვილის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე წაკითხული მოხსენების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

837. ელ. ანდრონიკაშვილი – ჩვენი დროის სული – უმაღლესი წარმოება და უმაღლესი დისციპლინა.

პირი: სურამლიშვილი, ზვიადაძე, ჩიღვინაძე, მანჯავიძე,  
გურგენიშვილი, მოსულიშვილი, მონასელიძე, ცინცაძე, ხარაძე,  
ყანჩელი, მრევლიშვილი, კიზირია  
უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

838. ელ. ანდრონიკაშვილის მიმართვა ბიოკალორიმეტრიის დარგში ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებისადმი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ნაკლული, 1 ფ.

839. ელ. ანდრონიკაშვილის მიმართვა ბიოკალორიმეტრიის პირველი საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეებისადმი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

840. კონფერენციის დამამთავრებელ სესიაზე ელ. ანდრონიკაშვილის სიტყვის - „ამ კონფერენციის წარმოშობის ისტორია. – თეზისები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

841. ელ. ანდრონიკაშვილის სცენარი – ქართული ატომური ცენტრი. ერთვის სცენართან დაკავშირებული ტიპიური ხელშეკრულება.

1964 წ., 10 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

## სწავლების მეთოდთა

842. ნორჩ ფიზიკოსთა VI საკავშირო ოლიმპიადის მასალები: ამოცანები, ანგარიში, ამონაწერი ოქმიდან.

1972 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 12 ფ.

843. მასალები ნაშრომის „ფიზიკის კურსის ლაბორატორიული სამუშაოების“ გამოსაცემად ელ. ანდრონიკაშვილის რედაქტორობით.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 13 სურათი, 231 ფ.

844. პროგრამა – ასპირანტებისთვის ზოგად ფიზიკაში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

845. ფიზიკის ფაკულტეტის სასწავლო გეგმა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

846. ჩამონათვალი იმ სამუშაოებისა, რომლებიც განხორციელდა სტუდენტების საწარმოო პრაქტიკის დროს ექსპერიმენტალური ფიზიკის კათედრაზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

847. ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენება ფიზიკის ინსტიტუტში შექმნილი ხელსაწყოების შესახებ და რომ აუცილებელია ფიზიკოსებისა და ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობის წარმომადგენლების ერთობლივი მუშაობა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

848. ელ. ანდრონიკაშვილი – კვანტური ჰიდროდინამიკის ზოგიერთი საკითხი: მბრუნავი ჰელიუმ ორი, მეორე ნაწილი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 25 ფ.

### III ელ. ანდრონიკაშვილის წერილები სხვადასხვა პირს

849. გ. აბაშიძეს, ს. ჩიტაიას, ბ. ჟღენტს და ი. ნონეშვილს მადლობას უხდის იუბილის მილოცვისთვის.

1971 წ., 20 თებერვალი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

850. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ი. აბაშიძეს. საუბარია ზახაროვის ბინის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

851. აკად. ი. ავჩინიკოვს სთხოვს ნება დართოს 1983 წ. იტალიაში დაგეგმილ კონფერენციაზე გაემგზავროს შემდეგი მარშრუტით: მოსკოვი-გრენადა-ფლორენცია-მოსკოვი.

ტოპონიმი: ესპანეთი, გრენადა, იტალია  
1982 წ., 9 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

852. ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს აცნობებს, რომ მის მიერ წამოჭრილი საკითხების შესახებ უგზავნის თავის მოსაზრებებს.

პირი: შახნო  
ტოპონიმი: მოსკოვი, ლენინგრადი, თბილისი  
1956 წ., 2 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 ფ.

853. ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს მადლობას უხდის მისი ყოველდღიური საქმიანობის და იმ თავდადებისთვის, რომელიც ის თავისი პაციენტების მიმართ იჩენს.

ტოპონიმი: მოსკოვი, თბილისი  
1964 წ., 1 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

854. ალექსანდრე ივანეს ძეს, გოგი [ჩიქოვანს] და ზურაბ მანჯავიძეს აცნობებს სამსახურებრივი საქმეების შესახებ.

პირი: პოლიაკოვი, ნაზაროვი, კიცენკო, ლოლუა, ტროფიმოვი, ვერნოვი, მუსხელიშვილი, გოგი [ჩიქოვანი], გ. ხუციშვილი, გ. ჭავჭავაძე, ზ. [მანჯავიძე], სმოროდინი  
ტოპონიმი: მოსკოვი, ლენინგრადი, თბილისი, ფიჭვნარი, მონტეკარლო  
1953 წ., 25 ივლისი, 1954 წ., 14, 27 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 4 ფ.

855. ალექსანდრე ივანეს ძეს აცნობებს, რომ გეგმავს კონფერენციის მოწყობას, რომ საჭიროა მასალები 25 ცალი ვილსონის კამერის დასამზადებლად და ა. შ.

პირი: ნასყიდაშვილი, გ. ჩიქოვანი, ზ. მანჯავიძე, მოგილევსკი  
ტოპონიმი: მოსკოვი, თბილისი  
1954 წ., 2 მარტი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

856. ალექსანდრე ივანეს ძეს აცნობებს ფინანსების შესახებ.

ტოპონიმი: მოსკოვი, თბილისი  
უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

857. აკად. ა. ალექსანდროვს აცნობებს, რომ ფიზიკის ინსტიტუტი თანახმაა ჩატარდეს ექსპერიმენტები მცხეთის რეაქტორზე.

პირი: იუ. ნიკოლაევი  
1966 წ., 1 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

858. აკად. ა. ალექსანდროვს აცნობებს, რომ ის მოქმედი მეცნიერია და იგი სამეცნიერო საბჭოს წევრებმა წარადგინეს და რომ უგზავნის ამ წარდგენის ტექსტსა და ი. ლიფშიცის რეცენზიის ასლს.

1976 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

859. 1) მოკავშირე რესპუბლიკების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე ა. ალექსანდროვს სთხოვს ჟურნალის - „მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის“ – საქართველოში გამოცემას.

2) წერილი, გაგზავნილი სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ამბარცუმიანის მიერ ელ. ანდრონიკაშვილთან. თანადგომასა და თანამშრომლობას აღუთქვამს ზემოხსენებული ჟურნალის გამოცემის საქმეში.

3) წერილი გაგზავნილი უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ა. სადიკოვის მიერ ელ. ანდრონიკაშვილთან. თანადგომასა და თანამშრომლობას აღუთქვამს ჟურნალის გამოცემის საქმეში.

1979 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

860. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ა. ალექსანდროვს სთხოვს, რომ მისი მოხსენების (ლითონების იონების როლი კანცეროგენების ზოგიერთ ფორმაში) მოსასმენად მოიწვიოს წერილში ჩამოთვლილი პირები.

1981 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

861. ა. ალექსანდროვს და ნ. ბლოხინს. მოცემულია განმარტებები მის სტატიასთან - „ავთვისებიანი სიმსივნის ბიოფიზიკური ასპექტები“ - დაკავშირებით რომელიც აკად. ს. სევერინს გაუკრიტიკებია.

1982 წ., 9 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 5 ფ.

862. ა. ალექსანდროვს ატყობინებს ბიოფიზიკისა და კიბოს ბიოფიზიკის დარგში მიღებული შედეგების შესახებ.

პირი: იუ. შერმანოვი, ლ. მოსულიშვილი, დ. მონასელიძე, ნ. ესიპოვი  
1986 წ., 9 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 3 ფ.

863. ა. ალექსანდროვს აცნობს ქართველი ფიზიკოსების მიღწევებს ბიოფიზიკის დარგში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

864. ა. ალექსანდროვს სთხოვს ნახევარგამტარების რადიაციული ფიზიკის კოორდინაციის საქმე დაავალოს უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ბირთვული კვლევების ინსტიტუტს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

865. ა. ალექსანდროვს სთხოვს მისი მოხსენებების (1. კანცეროგენეზის ზოგიერთ ფორმაში ლითონების იონების როლი; 2. ლითონები და სიმსივნური ზრდა) მოსასმენად მოიწვიოს სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

866. ა. ალექსანდროვს ატყობინებს მიღწევებს, რომლებიც ფიზიკის ინსტიტუტში მიიღეს რეაქტორის დახმარებით.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ბოლონაკლული, 1 ფ.

867. აკად. ნ. ალექსანდროვს სთხოვს მონაწილეობა მიიღოს 1965 წ. თებერვალში ბაკურიანში გასამართ კოლეკტივში, რომელიც მიეძღვნება ზედენადობისა და ზეგამტარობის საკითხებს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

868. 1) გ. ალექსენკოს სთხოვს ფიზიკის ინსტიტუტისთვის გამოეცხადოს 40 საშტატო ერთეული.

2) ნ. მუსხელიშვილს სთხოვს შუამდგომლობა გაუწიოს ზემოაღნიშნული საკითხის მოგვარებაში.

პირი: მ. კელდიში, ა. ალექსანდროვი, კ. რუდნევი  
უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

869. ერევნის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს ა. ალიხანიანს და თ. ასათიანს ულოცავს ლენინური პრემიის მიღებას.

1970 წ., 24 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

870. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ნ. ამალღობელს სთხოვს ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით გაათავისუფლოს სამსახურიდან.

1989 წ., 4 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

871. ანა გიორგის ასულს მადლობას უხდის გამოჩენილი მზრუნველობისთვის.

1969 წ., 27 აგვისტო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

872. ანატოლი პეტრეს ძეს აცნობებს საქმეების შესახებ.

1974 წ., 30 აპრილი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ბოლონაკლული, 1 ფ.



873. ანატოლი პეტრეს ძეს აზრს უზიარებს მ. ვოლკენშტეინის სტატიის „ტრაქტატი ცრუმეცნიერების შესახებ“ და „წყლის მონომოლეკულური ფენის თვისებების შეცვლის“ შესახებ.

1976 წ., აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

874. ანდრეი ივანეს ძეს ესაუბრება იმ წინადადების შესახებ, რომელიც ანდრეი ივანეს ძემ შესთავაზა მისი სტატიის გაცნობის შემდეგ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 3 ფ.

875. საუბარია იმის შესახებ, რომ ბრედოვის, ვაგილოვის, ვინეცკის, გულდამაშვილის, კონოპლევას, რიგვინის, სმირნოვის, უხინის შრომები იმსახურებენ 1980 წ. სახელმწიფო პრემიას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, თავნაკლული, 1 ფ.

876. მიწერ-მოწერა ელ. ანდრონიკაშვილსა და ნილს ბორს შორის.

პირი: მუსხელიშვილი

ტოპონიმი: საქართველო, თბილისი, კოპენჰაგენი, მოსკოვი, ვენა  
1961-1963 წწ., რუსულ და ინგლისურ ენებზე, ნაბეჭდი,  
ხელით ნაწერი, 18 ფ.

877. ეკატერინე ანდრონიკოვას ულოცავს დაბადების დღეს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

878. კერძო ხასიათის წერილი.

ძმისშვილ მანანა ანდრონიკოვას.

ტოპონიმი: მოსკოვი

1944 წ., 8 აგვისტო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

879. ლენინური და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის სწავლულ მდივან ნ. არჟანიკოვს აცნობს იმ მეცნიერთა გვარებს, რომლებიც სახელმწიფო პრემიას იმსახურებენ. ერთვის თეზისები - იონიზირებული გამოსხივების მოქმედების მექანიზმში ლითონების იონების მონაწილეობის საკითხისთვის.

1980 წ., 12 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი,  
სლაიდები 10 ცალი, სურათები და ცხრილები თუთიის შემცველობის  
შესახებ 6 ცალი, 10 ფ.

880. სსრკ - გვრ-ს თანამშრომლობის დაწყებასთან დაკავშირებით აკად. ლ. არციმოვიჩის სთავაზობს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრად უცხოელი რ. მესბაუერის არჩევას.

პირი: რ. მესბაუერი

1970 წ., დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

881. აკად. ლ. არციმოვიჩის სთხოვს ნება დართოს, ითანამშრომლოს წერილში ჩამოთვლილ უცხოურ ორგანიზაციებთან.

1972 წ., 9 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

882. ლ. არციმოვიჩის სთხოვს ნება დართოს ფიზიკის ინსტიტუტს, რომ ერთობლივი სამუშაოები აწარმოოს წერილში ჩამოთვლილ უცხოურ დაწესებულებებთან.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

883. პროფ. გ. ბაბენკოს ატყობინებს, რომ 20 ოქტომბერს ვერ ჩავა ივანო-ფრანკოში, რადგან ამ დღეებში საქართველოში ტარდება სსრკ-საფრანგეთის ერთობლივი სიმპოზიუმი ნუკლეინის მუაგების დარგში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

884. აკად. ბაევს სთხოვს, რომ გუბინისგან მოისმინოს მათი პროგრამა „ლითონის იონების ბიომაკრომოლეკულებთან ურთიერთქმედების“ შესახებ და თუ მოიწონებს გააგრძელოს შემდეგი მოქმედებები.

1988 წ., 23 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

885. ბაზილევსკის სთხოვს გასცეს განკარგულება, რომ ჩრდ. დონეცკის ხელსაწყოთმშენებლობის ქარხანამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტისთვის გამოეყოს 12 ცალი И-4М ტიპის ელექტრონო-სხივური ინდიკატორი.

1973 წ., 5 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

886. პროფ. ბარდენს სთხოვს ჩამობრძანდეს და მონაწილეობა მიიღოს ცნობილი ფიზიკოსისა და ნობელის პრემიის ლაურეატის პეტრე კაპიცას 80 წლის იუბილის აღსანიშნავ საერთაშორისო კონფერენციაში, ერთვის მონაწილეთა სია.

1974 წ., 25 ივლისი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

887. სსრკ მეცნიერებათა აკად. ვიცე-პრეზიდენტს ი. ბარდინს სთხოვს გადმოსცენ მიკროსკოპი МБИ-2.

1950 წ., 28 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

888. ი. ბეხსონოვს „ჰელიოს 42“-სა და მიკროსკოპ МБИ-8-ის მისაღებად აცნობებს ფიზიკის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის მისამართებს.

1953 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

889. ნ. ა. ბერიკატოვს ულოცავს წევრ-კორესპონდენტად არჩევას.

1980 წ., 4 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

890. ბიოფიზიკის განყოფილებას ატყობინებს, რომ ფიზიკის ინსტიტუტი მწუხარებას გამოთქვამს აკად. გ. ფრანკის გარდაცვალების გამო.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

891. პროფ. ბლაგოვს ატყობინებს „ბიომაკრომოლეკულების ლითონკომპლექსების“ პროგრამის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

892. სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ბლოხინს ატყობინებს, რომ აცნობს პროგნოზს უახლოესი წლებისთვის „კიბოს ბიოფიზიკის“ დარგში და კომისიის მომავალ შემადგენლობას.

1983 წ., 25 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

893. 1) ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის დირექტორ დ. ბლოხინცევს ატყობინებს ახალი გამომოვლელი მანქანის შექმნის შესახებ.  
2) იგივე საკითხზე აწვდის ცნობებს დ. ბლოხინცევს.

პირი: ვ. ჭავჭავანიძე

1957 წ., ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

894. სსრკ კულტურის სამინისტროს ელექტრომოწყობილობის მთავარი მომარაგების განყოფილების უფროსს ვ. ბოგდანოვს კრიოგენური ლაბორატორიის მშენებლობის დასამთავრებლად მასალებს სთხოვს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

895. ვ. ბოიცოვს სთხოვს დაეხმაროს დაკალიბრებული გადამწოდის მიღებაში.

1970 წ., 19 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

896. სსრკ მინისტრთა საბჭოს სტანდარტების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ბოიცოვს სთხოვს, რომ განკარგულება გასცეს ფიზიკის ინსტიტუტის საჭირო ნიმუშებით უზრუნველყოფის შესახებ (ჩამონათვალი ერთვის წერილს) და დაამზადებინოს თერმომეტრი, რომელიც მუშაობს 2<sup>0</sup>K-სა და უფრო ზევით.

1971 წ., 5 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

897. ვ. ბოიცოვს ატყობინებს ფიზიკის ინსტიტუტში დამზადებული ნეიტრონულ-აქტივაციური ეტალონებისა და აქტივაციური დეტექტორების დამზადების ტექნოლოგიის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ნაკლული, 1 ფ.

898. ნილს ბორს აცნობებს, რომ ეიჯი ბორისგან მიიღო მოწვევა კოპენჰაგენში, რისთვისაც დიდ მადლობას უხდის.

1962 წ., მაისი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

899. ნილს ბორს აცნობებს, რომ მოსკოვში ყოფნისას პროფ. ლანდაუმ უჩვენა ბორის ფოტო, სთხოვს ამ ფოტოს ასლს. დიდ მადლობას უხდის გულთბილი წერილისთვის.

1961 წ., 20 ნოემბერი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

900. ბორისოვს სთხოვს უზრუნველყონ ვილსონის კამერის კარკასის შედუღება.

1953 წ., სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

901. აკად. ბოროვიკ-რომანოვს აცნობებს, რომ პ. კაპიცას ოთხომოცდაათი წლსითავის დღეს, სიამოვნებით იგონებს იმ სამ წელიწადს, როცა კაპიცას ინსტიტუტში მუშაობდა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

902. ლ. ბრეჟნევს, ა. კოსიგინს და ნ. პატოლიჩევს სთხოვს, რომ კიბოს პრობლემებზე სამუშაოდ ფიზიკის ინსტიტუტს შეუძინონ საჭირო მოწყობილობა.

1970 წ., სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

903. ლ. ბრეჟნევს აცნობებს, რომ მისი სტატია „ისტორიული ზღვარი კომუნიზმის გზაზე“ არის დიდი წვლილი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებაში მოქმედი კანონების მეცნიერული დასაბუთების საქმეში.

1977 წ., დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ვარიანტად, 4 ფ.

904. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივან ლ. ბრეჟნევს მადლობას უხდის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავზე ჩამოსვლის გამო.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 2 ფ.

905. აზრს უზიარებს ლ. ბრეჟნევს. საუბარია ბრეჟნევის ხელმძღვანელობით მიღებული კონსტიტუციის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ბოლონაკლული, 1 ფ.

906. რაპორტი - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის სახელით ელ. ანდრონიკაშვილი, ჯ. წაქაძე და რ. ბაბლიძე ლ. ბრეჟნევს აცნობენ ფიზიკის ინსტიტუტში მიმდინარე სამუშაოთა შედეგებს, ატყობინებენ იმ სირთულეების შესახებ, რომლებიც მუშაობაში ხელს უშლიან და სთხოვენ დახმარებას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

907. შ. ბუხრაშვილს სთხოვს, რომ 50 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებელი „საქმდროენერგომშენი“ შეიცვალოს მშენებლობის სამინისტროს „მთავართბილმშენით“.

1970 წ., 12 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

908. უნივერსიტეტის რექტორ ე. ბურჭულაძეს სთხოვს, რომ გაუგრძელოს მოსკოვში მივლინება.

1953 წ., 20 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

909. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორ თ. გამყრელიძეს, კინორეჟისორ თ. აბულაძეს, თავხელიძეს, მატვეევს და აკად. ბანდინს ულოცავს ლენინური პრემიის მიღებას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

910. ა. ი. გაჩეჩილაძეს. (33 წერილი და 3 ტელეგრამა)  
საუბარია სამსახურებრივი საქმეების შესახებ.

პირი: ჯავახიშვილი, პ. ნოვიკოვი, მ. ქავთარაძე, ბაბლოშვილი, გორდელაძე, ძოწენიძე, კ. მაჩაბელი, სანაძე, გოცირიძე, კარენეცკი, ნ. მუსხელიშვილი, ლანდაუ, ლიფშიცი, ზალატსკოი, მამასახლისოვი, მირცხულავა, ხუციშვილი, დოლგოპოლოვი, ვ. ჭავჭავანიძე, ბასკაკოვი, კარგინი, სალდაძე, გომელაური, ახოზაძე, პავლოვი, თოხაძე, ზედელაშვილი, ჯანელიძე, კაზაროვი, ლომკაცი, ტუბოლკინი, მოგილევსკი, გ. თუმანიშვილი, გაჩეჩილაძე, ბესკოვი, ვივა და ირაკლი ანდრონიკაშვილები, კუპრაძე, მ. დავითაშვილი, ი. კალაბუკოვი, დოლიძე, თავაძე, მირიანაშვილი, მუშლაძე, ქებულაძე, მუჟაგანაძე, ვოლოშჩინი, დარჩიაშვილი, მელქაძე, გ. ჩიქოვანი, კახიძე, ს. გურგენი, გრიგორევი, ტერტერაშვილი, კობალაძე, ჩოგოვაძე, ვარსიმაშვილი, ხალაღუხოვი, ჯანდიერი, ა. მელაძე, რ. ძიძიგური, ივიკო, ირიკო, აჩიკო (გაჩეჩილაძეები), ულიანოვი  
ტოპონიმი: თბილისი, მოსკოვი, გორკი, გატჩინი, მონტე-კარლო, ლენინგრადი  
1954-1955-1956-1957-1958 წწ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 33 წერილი, 3 ტელეგრამა, 47 ფ.

911. დ. გვიშიანს ატყობინებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

1968 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

912. სსრკ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. გვიშიანს სთხოვს, რომ ფიზიკის ინსტიტუტისთვის დამზადებული ბიოპოლიმერების პრეპარატების გამოგზავნა დაავალოს გვრ-ში საბჭოთა საელჩოს მრჩეველს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

1971 წ., 25 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

913. დ. გვიშიანს აცნობებს, რომ სიმსივნურ ქსოვილებში მოლეკულური გარდაქმნების შესახებ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გასაგრძელებლად საჭიროა ხელსაწყოები. წერილს თან ერთვის ამ ხელსაწყოების ჩამონათვალი.

1975 წ., 28 თებერვალი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

914. ჯ. გვიშიანს ატყობინებს თბილისში ბიოკალორიმეტრიის ცენტრის შექმნის, 120000 უცხოურ ვალუტად ღირებული მიკროსკოპის შექმნის შესახებ და ა. შ.

პირი: ოჩინიკოვი, მარჩუკი  
უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

915. აკად. ვ. გინზბურგს აცნობებს, რომ უგზავნის მისი კანდიდატად წარდგენის ტექსტს.

1976 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

916. წერილი აკად. ი. გლებოვს, ა. იოფეს და აკად. ვ. ტუშკევიჩს. საუბარია სახელფასო ფონდის გაზრდაზე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 1 ფ.

917. გოგის და ზურაბს აცნობებს კამერის შესახებ, რომელსაც თავად ჩაიტანს თბილისში.

პირი: ვეკსლერი, ჩუვილო, ღიუბიშოვი, სეჩინიუჩკინი  
1957 წ., 14 მაისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

918. ვ. გომელაურს აცნობებს იმ მიზეზებს, რომელთა გამოც მისი წასვლა ბირთვული რეაქტორის განყოფილების ხელმძღვანელის პოსტიდან შეუძლებელია.

1959 წ., მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 2 ფ.

920. გრინევიჩს ატყობინებს მის მიერ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებასთან დაკავშირებული საქმის მდგომარეობას.

პირი: ვ. ერმაკოვი  
ტოპონიმი: მოსკოვი  
უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

921. გროზნოს ნავთობმომარაგების კანტორას სთხოვს გასცეს საწვავი იალბუჯის ექსპედიციისთვის.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

922. მ. გუბინს სთხოვს ფიზიკის ინსტიტუტისთვის გამოყონ მასალები.

1979 წ., 7 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

923. ლ. გურევიჩს და ი. ბოიკოვს აცნობებს შრომების როტოპრინტული კრებულის გამოცემის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

924. 1) საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში ამხ. პ. გუჯაბიძეს ატყობინებს დაზიანებული სპექტროფოტომეტრ CΦ-2-ის შესახებ.  
2) გუჯაბიძის პასუხი – თხოულობს, რომ დამნაშავეები დაისაჯონ.  
3) კალანდიას განმარტებითი ბარათი ამ საკითხთან დაკავშირებით.  
4) მოხსენებითი ბარათი ამავე საკითხის შესახებ. ავტორი – ნ. პოლიტოვი.  
5) მოხსენებითი ბარათი ამავე საკითხის შესახებ. ავტორი ვ. მუმლაძე.

პირი: კალაბუხოვი, მუმლაძე, პოლიტოვი  
ტოპონიმი: მოსკოვი თბილისი, ლენინგრადი  
1951 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 22 ფ.

925. „დაბალი ტემპერატურების ფიზიკის“ დარგში სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვს, რომ ი. მამალაძე შეიყვანოს საბჭოს შემადგენლობაში.

ტოპონიმი: თბილისი  
1967 წ., 23 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

926. დავიდ ლაზარეს ძეს პასუხობს მის სტატიასთან - „ნეიტრონული ვარსკვლავების წიადში“ - დაკავშირებით დასმულ შეკითხვებს.

1974 წ., მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

927. ა. ს. დამასკს იწვევს 15-28 ოქტომბერს თბილისში დაგეგმილ ფიზიკის სემინარზე. აცნობებს, რომ ყოველგვარ ხარჯებს ფიზიკის ინსტიტუტი დაფარავს.

1973 წ., 16 მაისი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

928. წერილი პროფ. ა. ს. დამასკს. აინტერესებს თუ რამდენი ხანი გაგრძელდება და რა მოცულობისაა მისი ლექცია, რომელსაც 1973 წლის 15-28 ოქტომბერს, თბილისში დაგეგმილ სემინარზე წაიკითხავს. ლექციები მოგვიანებით დაიბეჭდება რუსულ ენაზე.

1973 წ., 31 მაისი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

929. წერილი კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორ ჯ. დაშს. მადლობას უხდის ახლად გამოცემული წიგნის ამონაბეჭდის გამოგზავნისათვის და პასუხობს ჯ. დაშის მიერ დასმულ რამდენიმე შეკითხვას პელიუმის თხევადი საწყავის ხვედრითი წონის შესახებ.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

930. დევი სტურუას ატყობინებს თბოგადამცემების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

931. სტალინის პრემიის მიღებასთან დაკავშირებით მიღებულ მილოცვებზე სამადლობელი დეპეშების ასლები.

[1952 წ.], რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 12 ფ.

932. აკად. რ. დვალს უსაბუთებს ფიზიკის ინსტიტუტის დამატებით ფინანსირებისა და შტატების გაზრდის აუცილებლობას.

პირი: ს. ვერნოვი  
უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

933. დიკასეიროს აცნობებს, რომ იგიც, ისევე როგორც მამალაძე, არ ეთანხმება მის მიერ მიღებულ ფორმულას მბრუნავი ჰელიუმის სიმკვრივის შესახებ.

პირი: მამალაძე, წაქაძე  
ტოპონიმი: მოსკოვი  
უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

934. დიმიტრი ვავილის ძეს ბოდიშს უხდის, რომ ვერ დაემშვიდობა და ურჩევს წაიკითხოს კაპიცასა და ლანდაუს შემოქმედებითი გმირობისადმი მიძღვნილი მისი წიგნი „მოგონებები თხევად ჰელიუმზე“.

პირი: კაპიცა, ლანდაუ  
1981 წ., 20 თებერვალი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

935. სსრკ საგარეო საქმეთა სამმართველოს თავმჯდომარე ვ. დობროსელსკის სთხოვს მხარი დაუჭიროს 1981 წლის 21-27 სექტემბერს თბილისში დაგეგმილ ბიოკალორიმეტრიის დარგში საერთაშორისო სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის შუამდგომლობას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

936. აკადემიის ცენტრალური მომარაგების უფროს ვ. დოლგოპოლოვს სთხოვს ფიზიკის ინსტიტუტისთვის სასწრაფოდ გამოეოს 170 ცალი მავთულის პოტენციომეტრი.

1967 წ., დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

937. წერილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ი. ს. დოლიძეს. საუბარია ფიზიკის ინსტიტუტისთვის გამოყოფილი 570 კვ.მ საცხოვრებელი ფართის შესახებ.

პირი: ფრუიძე  
1964 წ., 11 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

938. აკად. ღურმიშიძეს სახელოვან იუბილეს ულოცავს.

1970 წ., 27 თებერვალი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

939. ელისოს სთხოვს, რომ გამოუგზავნოს ჟურნალ „ონკოლოგიის საკითხების“ ის ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია ა. ვასილიევის სტატია „ბავშვებში ლეიკოზის დროს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება“.

1985 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.



940. სსრკ უმაღლესი განათლების მინისტრ ვ. ელიუტინს და სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროსთან არსებული უნივერსიტეტებისა და იურიდიული სასწავლებლების მთავარი სამმართველოს უფროს მ. პროკოფიევს სთხოვს, რომ განიხილონ საკითხი თბილისის უნივერსიტეტში გეოფიზიკის სპეციალობის შენარჩუნების შესახებ.

1955 წ., იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

941. ვ. ელიუტინს სთხოვს, რომ დაბალი ტემპერატურების ფიზიკის ლაბორატორიისთვის გამოეყოს 11 საშტატო ერთეული.

1955 წ., იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

942. ვ. ენგელგარტს მადლობას უხდის 60 წლის იუბილის მოლოცვისათვის და ულოცავს ახალ წელს.

1970 წ., 30 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

943. ვ. ენგელგარტს აცნობებს, რომ უგზავნის თავისი სტატიის ქსეროასლს.

1974 წ., ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

944. აკად. ვ. ენგელგარტს თანაუგრძნობს მეუღლის მილიცა ნიკოლოზის ასულის გარდაცვალების გამო.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

945. ერმოლაი ევსეევის ძეს აცნობებს კიცენკოს შესახებ.

პირი: კიცენკო, წაქაძე, ს. ჟღენტი, ჟუჟუნაშვილი  
ტოპონიმი: მოსკოვი  
1953 წ., 8 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

946. ბ. ესელსონს აცნობინებს საკონფერენციო მოხსენებების შესახებ.

პირი: აბრიკოსოვი, შარვინი, მამალაძე  
1968 წ., 23 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

947. გამომცემლობა „Знание“ –ს „მეცნიერებისა და კაცობრიობის“ რედაქციას (კერძოდ ე. ეტინგოფს) აცნობინებს, რომ უგზავნის ვ. მრეველიშვილის თანაავტორობით დაწერილ სტატიას „დნმ-ი აბსოლუტური ნულის სიახლოვეს.“

1988 წ., მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

948. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის თბოტექნიკური ლაბორატორიის მთავარ ბუღალტერ მ. ეფრუსს აცნობინებს, რომ მიკროსკოპი „ლიუმინანი“ დაუბრუნდება ლაბორატორიას.

1949 წ., 27 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

949. ვადინგტონს აცნობებს, რომ კრიოგენურ ლაბორატორიაში ამ ეტაპზე არ მუშაობენ ქიმიური თერმოდინამიკის საკითხზე.

1958 წ., 24 იანვარი, თბილისი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

950. ს. ვავილოვს, ვ. კოშელევს, ა. ნესტეროვს, კოლჩაკს და ს. ნაიდისს სთხოვს, რომ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მოამარაგონ კომპრესორებით, ღუმელებით (T 50/600, T 40/600, TF-1), შავი და ფერადი ლითონებით და გადმოურიცხონ 80 000 მანეთი.

1950 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

951. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ ს. ვავილოვს სთხოვს იაღბუზის ექსპედიციას შეუმციროს 1950-1951 წლების სამუშაო გეგმა, რადგანაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა არ გადასცა ვილსონის კამერა, რის გამოც სამუშაოს ვერ ასრულებენ.

1950 წ., 22 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

952. წერილი ვალენტინა აბრაამის ასულს. საუბარია 1983 წ. თელავსა და მცხეთაში ჩატარებული სამეცნიერო სესიების შესახებ.

1983 წ., 27 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

953. ვალი აღის ასულს და ფრანც ფრანცის ძეს უგზავნის მოკითხვის წერილს. ატყობინებს ოჯახის ამბებს.

1988 წ., 23 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

954. წერილი ვარძელაშვილს. საუბარია ბიოფიზიკაში ახალი მიმართულების შექმნაზე, კერძოდ, ავთვისებიანი სიმსივნური და ნორმალური ქსოვილებიდან მიღებული დნმ-ის მოლეკულების განსხვავებული თვისებების, სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილი შრომის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

955. ა. ვასილიევს უსამძიმრებს ქალიშვილის გარდაცვალების გამო.

პირი: ირაკლი [ანდრონიკაშვილი]

ტოპონიმი: მოსკოვი

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

956. თსუ-ს ფიზიკის ფაკულტეტის დეკან ვაშაკიძეს სთხოვს, რომ კრესტევა გაანაწილოს ფიზიკის ინსტიტუტში.

პირი: კრესტევა

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

957. ვახტანგ ივანეს ძეს ატყობინებს წამყვანი ინჟინრის, თბოტექნიკის, ოპერატორების, დოზიმეტრების, ლაბორატორიების შესახებ და ა. შ.

პირი: კიკნაძე, ჩიქობავა, ბერგი  
ტოპონიმი: მოსკოვი  
1958 წ., იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

958. აკად. ვ. ვეკსლერს ატყობინებს თანამშრომელთა მივლინებებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

პირი: ზ. მანჯავიძე, ნ. როინიშვილი, ა. კოზლოვი, ლ. ჩხაიძე,  
ა. მესტვირიშვილი, იუ. კოტლიარევსკი, ა. ცერილოვი  
1960 წ., 17 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

959. მოკითხვის ბარათი ი. ვეკუას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

960. აკად. ი. ვეკუას სთხოვს, რომ ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრისთვის გამოეცხადებინა 47000 მანეთი ტექნიკის შესაძენად.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

961. ი. ვეკუას სთხოვს აკუმულაციური ლაბორატორიის მონტაჟის სპეციალისტების მოგროვებას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

962. 1) პროფ. ს. ვერნოვს სთხოვს, რომ მისდამი რწმუნებული ინსტიტუტის მექანიკურ საამქროში ვილსონის კამერისათვის დაამზადონ ნაწილები.  
2) იგივე შინაარსის წერილი კ. დობრინის.

1953 წ., 15 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 2 ფ.

963. ახალგაზრდა ვიეტნამელებს ულოცავს მტერზე გამარჯვებას და სთავაზობს თანამშრომლობას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

964. ვიტალი ლაზარეს ძეს აცნობებს, რომ დიდი სიამოვნებით წაიკითხა მისი სტატია ლანდაუს შესახებ. აქვე ატყობინებს თავის ამბებს.

პირი: იუ. მამალაძე  
ტოპონიმი: სოხუმი  
1968 წ., 6 ივნისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

965. ვიქტორ დიმიტრის ძეს ატყობინებს ფიზიკის ლაბორატორიის განადგურებისა და მათემატიკოსებისათვის ფიზიკოსთა კუთვნილი თანხის გადაცემის თაობაზე, რომ ამ საკითხში არ ეთანხმება, მაგრამ ურჩევნია თავად აცნობოს ამის შესახებ, ვიდრე სხვისგან გაიგოს.

1955 წ., 28 ივნისი, სოჭი-ტუაფსე, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

966. აკად. ა. ვიშნევსკის ულოცავს სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

967. საიუბილეო თარიღს ულოცავს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს.

1964 წ., 4 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

968. დაბადების მე-60 წლისთავს ულოცავს ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

969. თ. ვოდხალს უსამძიმრებს ბორის ევგენის ძის გარდაცვალების გამო.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

970. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვოლკენშტეინს ატყობინებს, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გამოცხადდა ახალი ვაკანსიები. სთხოვს წერილობით მხარი დაუჭიროს გ. მრეველიშვილს.

1988 წ., 27 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

971. ჩინელ მეცნიერ ვუს სთხოვს აცნობოს მისი თბილისში სტუმრობის ზუსტი თარიღი. აცნობებს, რომ იმ თემაზე, რომელზედაც ვუ აპირებს თბილისის ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიაში ცდების ჩატარებას, უკვე წაიკითხეს მოხსენებები ლ. კ. ჩოპრამ და ლ. ბ. ბრაუნმა ვისკონსის საერთაშორისო კონფერენციაზე.

1957 წ., 27 ნოემბერი, თბილისი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 3 ფ.

972. ზახარი ნიკოლოზის ძეს სთხოვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტს გამოუყოს მანქანა „Победа“.

1949 წ., 20 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

973. ბ. ზახარჩენიას, ნაუმ მოსეს ძეს, კ. ვლასოვს, გ. ფედოროვს, ხაბიბულჯა იბრაჰიმის ძეს და ე. ტუროვს ატყობინებს კონფერენციის მასალების როტოპრინტული გამოცემის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

974. აკად. ია. ზელდოვიჩს ულოცავს დაბადების მე-60 წლისთავს, საყვედურობს, რომ იუბილეს გადახდაზე უარი თქვა და იგონებს მასთან პირველ შეხვედრას.

პირი: ია. ფრენკელი, დ. კაპიჩნიკი

1974 წ., 28 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, დედანი, 2 ფ.

975. ს. ზოტის აცნობებს, რომ უგზავნის ყველა იმ საბუთს, რომლებიც ლიცენზიის გასაყიდადაა საჭირო.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

976. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ალექსანდრეს ძეს სთხოვს ფიზიკის ინსტიტუტს გამოუყოს 170000 მანეთი. ერთვის საკავშირო საინფორმაციო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის გ. არტამონოვის ტელეფონის ნომერი.

1980 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

977. რ. თევენოტს მადლობას უხდის გაყინვების საერთაშორისო ინსტიტუტის კომიტეტის წევრად არჩევისათვის. იმედს გამოთქვამს, რომ თავისი შრომებით წვლილს შეიტანს ამ ინსტიტუტის განვითარებაში.

უთარილო, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

978. აკად. ა. ვ. თოფჩიევს ატყობინებს საერთაშორისო კონფერენციაზე – (სამეცნიერო მიზნებისთვის იზოტოპების გამოყენება) უცხოელი კოლეგების - ტეილორის, კომარის, ლიბის მიერ წაკითხული მოხსენებების ავ-კარგიანობაზე.

ტოპონიმი: აშშ ინგლისი

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 6 ფ.

979. საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელ ა. თოფჩიევს აცნობს თავის შთაბეჭდილებებს კონფერენციის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

980. ლ. თოხაძეს სთხოვს ფიზიკის ინსტიტუტისთვის გამოყონ მთელი რიგი მოწყობილობები და მასალები. ერთვის ჩამონათვალი.

1953 წ., ოქტომბერ-ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

981. ლ. თოხაძეს სთხოვს, რომ ფიზიკის ინსტიტუტს გამოუყოს სხვადასხვა მასალები და ხელსაწყოები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

982. იაღბუზის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს სთხოვს, რომ შეატყობინოს ექსპედიციის მონაწილეების ყველა უმსგავსი საქციელი, რათა ისინი დაისაჯონ.

უთარილო, ქართულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

983. დ. იგნატოვს და ნ. დობროტინს სთხოვს დამატებით საშტატო ერთეულებს.

1955 წ., 27 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

984. წერილი ივან ივანეს ძეს. საუბარია ატომის აგებულების შესწავლის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

985. 1) წერილი ივან ვასილის ძეს.

2) წერილი ანატოლი ალექსის ძეს.

ორივე წერილში საუბარია ა. მესტვირიშვილის თბილისიდან შესაძლო წასვლის შესახებ.

პირი: გ. ჩიქოვანი, ზ. მანჯავიძე  
ტოპონიმი: თბილისი, სერპუხოვო  
უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი 2 ფ.

986. ივანოვს სთხოვს გაარკვიოს ბალონების გამოგზავნასთან დაკავშირებული საკითხი.

1953 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

987. პროფ. ვ. ივანოვს მადლობას უხდის მის სტატიასთან დაკავშირებით გაზეთ „Правда“-ში გამოქვეყნებული წერილისათვის და იქვე დასძენს, რომ მის ზოგიერთ შენიშვნას არ იზიარებს.

1983 წ., 1 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

988. ექიმ იკონნიკოვას სთხოვს დაუდასტუროს, მხოლოდ მიოკარდის ინფარქტი ჰქონდა, თუ მისი დაავადება დაკავშირებულია რაიმე ნერვულ დაავადებასთან, როგორც ეს ექიმმა ლიტვინოვმა მის ნაცნობებს უთხრა.

მოსკოვის ბოტკინის სახელობის კლინიკის მთავარი ექიმის მოადგილე იკონნიკოვა უდასტურებს, რომ მან ნამდვილად გადაიტანა მიოკარდის ინფარქტი და სხვა არაფერი სჭირდა.

1953 წ., 23 მაისი და 11 აგვისტო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი 2 ფ.

989. ილია მიხეილის ძეს სთხოვს, რომ ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდა თეორეტიკოსს ზ. სარალიძეს. საუბარია ასევე დისლოკაციური ყულფების და დისკოების წარმოქმნის კინეტიკის შესახებ.

1963 წ., 18 თებერვალი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

990. ილია ნესტორის ძეს ატყობინებს ნოშრევანის საქმეების შესახებ.

პირი: პ. პრივალოვი  
ტოპონიმი: მოსკოვი  
1964 წ., 14 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

991. ირინე პავლეს ასულს მადლობას უხდის წიგნის მაღალი შეფასებისთვის.

პირი: ლანდაუ, ლიფშიცი, ხალატნიკოვი, პიტაევსკი,  
ფეინბერგი, სმოროდინსკი, პ. კაპიცა, ი. კიკოინი  
1982 წ., 30 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

992. 1. ანნა ალექსანდრეს ასულ კაპიცას, პ. კაპიცას, ნ. ბოგოლუბოვს და ბორის გიორგის ძეს სთხოვს, რომ მონაწილეობა მიიღონ ბაკურიანში დაგეგმილ კოლექციუმში ეგიდით „ზედენადობისა და ზეგამტარობის საკითხები“.  
2. პ. კაპიცა ელ. ანდრონიკაშვილს აცნობებს, რომ დროის უქონლობის გამო კოლექციუმის მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

1965 წ., იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

993. პ. კაპიცას სთხოვს, რომ მანქანა Γ-3-ის გაშვებისთვის დროებით გამოგზავნოს ინსტიტუტის თანამშრომელი ა. მელეხინი.

პირი: ა. მელეხინი  
1970 წ., 8 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 1 სურათი, 1 ფ.

994. მადლობის და მოკითხვის წერილი პ. კაპიცას.

ტოპონიმი: კისლოვოდსკი, მოსკოვი  
1971 წ., 3 თებერვალი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

995. მ. კამაროვსკის სთხოვს, რომ ლენინგრადის ქარხნიდან ვაკუუმური ფირფიტის მისაღებად გასცეს მინდობილობა.

1953 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

996. აგრო-ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელს ვ. კარმანოვას სთხოვს, რომ დააჩქარონ შეკვეთის შესრულება.

პირი: ვ. მელიქ-შახნაზაროვი  
ტოპონიმი: ლენინგრადი  
1965 წ., 2 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

997. კერძო ხასიათის წერილი კატიას.

პირი: ნუცუბიძე  
1935 წ., 5 აპრილი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 4 ფ.

998. ძმისშვილ კატენკას ატყობინებს პირადი განცდების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

999. მ. კაჩეროვსკის სხვადასხვა საქონლის გამოყოფას სთხოვს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1000. 1. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ კელდიშს აცნობებს, რომ 1966 წელს თბილისში გაიმართება მე-10 საერთაშორისო კონფერენცია დაბალი ტემპერატურების ფიზიკის დარგში. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან დაკავშირებით მონაწილეობას ვერ მიიღებს საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობაში.

1965 წ., მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

2. პ. კაპიცას აცნობს საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობას, უცხოელ და ადგილობრივ მონაწილეთა სიას.

1965 წ., 25 ნოემბერი, 1966 წ., აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 13 ფ.

1001. აკად. მ. კელდიშს აცვობინებს ბაკურიანში სსრკ-საფრანგეთის ერთობლივი ოლექციუმის ჩატარების შესახებ.

პირი: ირშემი, ლანშონი  
ტოპონიმი: ბაკურიანი  
1967 წ., 9 თებერვალი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

1002. მ. კელდიშს აცვობინებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტსა და საფრანგეთის სამეცნიერო დაწესებულებებს შორის სამეცნიერო თანამშრომლობის შესახებ.

პირი: ლანშონი, ნეელეი  
ტოპონიმი: საფრანგეთი, პარიზი, სსრკ  
1967 წ., 9 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

1003. მ. კელდიშს ულოცავს ახალ წელს და მადლობას უხდის მისი დამსახურების მაღალი შეფასებისთვის.

1970 წ., 30 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

1004. ნ. კეცხოველს სთხოვს, რომ იალბუზის ექსპედიციის წევრებს გედევანიშივლს და მანჯავიძეს გადაუხადოს კუთვნილი 18000 მანეთი. წერილზე არის ა. ბარამიძის და ი. ვეკუას მინაწერები, რომელთა თანახმად ისინი თანხის გადარიცხვის წინააღმდეგნი არიან.

პირი: გედევანიშივლი, მანჯავიძე  
1949 წ., 23 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1005. ნ. კეცხოველს აცნობებს ფიზიკა-ტექნიკური ფაკულტეტის აღჭურვილობისა და კადრების შესახებ.

1950 წ., 26 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 10 ფ.

1006. უნივერსიტეტის რექტორ ნ. კეცხოველს სთხოვს გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე, კერძოდ ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრაზე, რადგან იქ მეტ სარგებლობას მოუტანს უნივერსიტეტს.

პირი: ლ. ბერია  
1950 წ., 27 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

1007. ნ. კეცხოველს სთხოვს გადმოურიცხონ იალბუზის ექსპედიციისთვის განკუთვნილი 140000 მანეთიდან 60000 მანეთი (80000 უკვე აღებული აქვს).



1950 წ., 7 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1008. ნ. კეცხოველს სთხოვს მოიწვიოს საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციების, შემკვეთი და ტექნიკურ მეთვალყურეთა ერთობლივი სხდომა, რათა დადგენილ იქნას კრიოგენური პავილიონის დასრულების კალენდარული ვადა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

1009. აკად. ი. კიკინს აცნობებს, რომ მისი დავალების თანახმად გაგზავნა წერილები და დაინტერესებულ ორგანიზაციებს აცნობა კრიოგენური კომპლექსების შესახებ. ერთვის ორგანიზაციათა სია.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 4 ფ.

1010. აკად. ვ. კირილინს აცნობებს, რომ მისმა მოხსენებამ გამოიწვია ამერიკელი პროფ. ს. ფარბერის დაინტერესება და შესთავაზა ერთად მუშაობა. სთხოვს, რომ დიპლომატიური არხებით გადაავსავნონ გამომშრალი ლეიკემიური კულტურები.

პირი: ს. ფარბერი, ჯ. ფოლი, რ. ადამსი  
1972 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

1011. ვ. კირილინს აცნობებს, რომ აშშ-ი წაიკითხა მოხსენება, რომელმაც ამერიკელთა დიდი ინტერესი გამოიწვია და დაიგეგმა ერთობლივი სამუშაოები. სთხოვს, რომ გასცეს განკარგულება აშშ-ი ლეიკემიური კულტურების გაგზავნის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

1012. საკავშირო საატესტაციო საბჭოს თავმჯდომარე ვ. კირილოვ-უგრიუმოვს სთხოვს ფიზიკის ინსტიტუტის საატესტაციო საბჭოს ნება დართონ კვლავაც მიიღონ დისერტაციები დაბალი ტემპერატურების ფიზიკის დარგში.

1978 წ., 26 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1013. წერილი უმაღლესი ხარისხების მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარე პროფ. ვ. კირილოვ-უგრიუმოვს. საუბარია ხარისხების მიმნიჭებელი კომისიის ხელახალ არჩევნებზე და სთხოვს, რომ გამონაკლისის სახით ამ კომისიის დაქვემდებარებაში შევიდეს ახალი დარგი „ექსპერიმენტული ფიზიკა“.

1981 წ., 22 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1014. წერილი ვ. კირილოვ-უგრიუმოვს. საუბარია გ. ჩოგოვადის დისერტაციის დაცვის შეყოვნების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1015. ვ. კიცენკოს ატყობინებს, რომ ჯ. წაქაძესთან მისი უარყოფითი დამოკიდებულება საქმეებზე ცუდად აისახება და პირაღმა განცდებმა საერთო საქმეზე არ უნდა იმოქმედონ.

პირი: ვ. [მამასახლისოვი], ჯ. [წაქაძე]  
ტოპონიმი: მოსკოვი  
1953 წ., 23 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი,  
1 კონვერტი, 1 ფ.

1016. პასუხობს ვ. კიცენკოს კითხვებზე.

პირი: ვ. მამასახლისოვი  
უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ფანქარი, 4 ფ.

1017. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან პ. კოვანოვს სთხოვს ლ. ავალიშვილს მისცენ 2 ოთახიანი ბინა, რომელიც მას უნდა მიეღო და რომელმაც გაიგო, რომ ამოღებულია სიიდან.

1960 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

1018. პროფ. კოკონის ატყობინებს თუ რომელ თემებზე იმუშავენ.

ტოპონიმი: თბილისი, მოსკოვი  
1956 წ., 29 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1019. კოკონის ატყობინებს, რომ ამჟამად მოსკოვში იმყოფება და მისი წერილი თბილისიდან მხოლოდ ახლა გადმოუგზავნეს. წერს, რომ ჰაერის გასაფართოებელი ჭავლის საკითხზე თბილისში არც თუ დიდი ხნის წინ დაიწყო მუშაობა (1954წ.) შესაბამისად ბევრი მასალაც არ მოეპოვებათ, თუმცა პირდება ამ საკითხის შესახებ გამოქვეყნებული და ასევე გამოუქვეყნებელი ნაშრომების გაგზავნას.

1957 წ., იანვარი, მოსკოვი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

1020. ე. უ. კონდონს სთხოვს გამოაქვეყნოს საბჭოთა კავშირის, კერძოდ კი ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც სულ ახალ მასალას იძლევიან კვანტური ჰიდროდინამიკის შესახებ.

1965 წ., 15 მარტი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1021. წერილი ე. უ. კონდონს. აინტერესებს მიიღო თუ არა მისი ნაშრომის - „ჰელიუმ II-ის მოძრაობა” - რეცენზია. აცნობებს, რომ ახალ მონაცემებზე დაყრდნობით დაწერა ახალი რეცენზია და სურს შეატყობინოს მისი შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

1965 წ., 28 მაისი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1022. აკად. ვ. კონდრატიევს მადლობას უხდის დაბადების დღის მილოცვისთვის.

1971 წ., 16 იანვარი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

1023. მოკითხვის ბარათი აკად. ვ. კონდრატიევს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

1024. გაზეთ „პრავდის“ მეცნიერების განყოფილების რედაქტორს მ. კოროლევს მიუთითებს იმ შეცდომებზე, რომლებიც გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებულ მის წერილში - „მცხეთა-ფიზიკოსების ცენტრი“ - გაიპარა.

პირი: გ. ლებანიძე  
1974 წ., იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

1025. გაზეთ „პრავდის“ რედაქციის თანამშრომელ მ. კოროლევს აცვობინებს, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია დაიბეჭდოს მისი სტატიის - „კიბოს ბიოფიზიკა“ - ახალი ვარიანტი.

1983 წ., აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1026. 1. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ვ. კოტელნიკოვს სთხოვს მხარი დაუჭიროს ფიზიკის ინსტიტუტის თხოვნას ფრანგული ფირმიდან მოწყობილობის შესაძენად ფულის გამოყოფას.

2. იგივე თხოვნით მიმართავს სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. კოსიგინს.

ერთვის ფიზიკის ინსტიტუტისთვის საჭირო ხელსაწყოების სია.

1970 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი,  
ხელით ნაწერი, სულ 6 ფ.

1027. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტ ვ. კოტელნიკოვს სთხოვს, რომ კიბოს ფიზიკის დარგში კვლევებისათვის ფიზიკის ინსტიტუტისთვის ფრანგული გამოფენიდან მოწყობილობის შესაძენად გამოყონ თანხა.

1970 წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

1028. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კვლევების ავტომატიზაციის საბჭოს თავმჯდომარე ვ. კოტელნიკოვს სთხოვს იშუამდგომლოს საქართველოს მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე, რათა ფიზიკის ინსტიტუტისთვის დამატებით გამოიყოს 33 საშტატო ერთეული და 480000 მანეთი.

1971 წ., 17 თებერვალი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

1029. კოშელევს სთხოვს უქანგავი ტუმბოების დასამზადებლად გამოუგზავნონ საჭირო მასალა. ერთვის მასალის ჩამონათვალი.

1954 წ., ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

1030. პროფ. კრიკს (დიდი ბრიტანეთი, კემბრიჯი) აცნობებს დნმ-ზე ფიზიკო-ქიმიური კვლევების შედეგებს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

1031. კრუიჟნოვსკის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტის დირექტორს გ. კრუიჟინს სთხოვს, რომ ვ. გომელაურს დისერტაციის დაცვის გარეშე მიანიჭონ ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1962 წ., 15 თებერვალი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

ტოპონიმი: თბილისი, გრენობლი, ორსო, სსრკ, საფრანგეთი  
უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

4376. ვ. ჭავჭავანიძე და რ. შადური სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური პრობლემების ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარეს სთხოვენ, რომ ნიმუშის სახით გამოუგზავნოს შინაგანაწესი.

1956 წ., 29 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4377. ე. ხარაძე დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქტორს აცნობებს, რომ 24-ე ტომში დაშვებულია შეცდომა – ნაპერწკლოვანი კამერები შექმნეს არა სომეხმა, არამედ ქართველმა მეცნიერებმა. სთხოვს, რომ შეცდომა გამოასწორონ.

პირი: ა. ალიხანიანი ტ. ასათიანი, გ. ჩიქოვანი, ნ. როინიშვილი,  
ბ. დოღგოშინი, ბ. ლუჩკოვი  
1977 წ., 13 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4378. ე. ხარაძე პ. კაპიცას სთხოვს მხარი დაუჭიროს სსრკ სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილ ელ. ანდრონიკაშვილს, ვ. პლოტნიკოვს და პ. პრივალოვს.

1978 წ., 25 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4379. ე. ხარაძე გ. მარჩუკს სთხოვს ხელსაწყოების შესაძენად სახსრების გამოყოფას.

1981 წ., 15 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4380. ე. ხარაძე ი. ანდრონიკოვს სთხოვს, რომ თანხმობა განაცხადოს მისი წიგნის „ლერმონტოვი, ძიებები და მიგნებები“ ქართულად თარგმნაზე. ერთვის ი. ანდრონიკოვის მიმართვა მკითხველისადმი და ზემოსხენებული წიგნის შინაარსი.

1984 წ., 29 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 4 ფ.

4381. ე. ხარაძე აკად. ვ. ამბარცუმიანს სთხოვს, რომ მხარი დაუჭიროს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თანამდებობაზე წარდგენილი ელ. ანდრონიკაშვილის კანდიდატურას.

პირი: ვეკუა, ი. ლიფშიცი  
უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 1 ფ.

4382. ე. ხარაძე ადრესატს სთხოვს, რომ მხარი დაუჭიროს სსრკ სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილ ელ. ანდრონიკაშვილის, პლოტნიკოვის და პრივალოვის კანდიდატურებს.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4383. ხუციშვილი ადრესატს აცნობებს იმ თანამშრომელთა გვარებს, რომლებიც თეორეტიკული ფიზიკის ახალი ლაბორატორიის გამოყოფის შემდეგ დარჩნენ.

1958 წ., 1 ივნისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4384. შ. ჯაბუა და მ. დანიელაშვილი გ. ქარუმიძეს აცნობენ იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია ფიზიკის ინსტიტუტის საუწყებო სახლის ექსპლუატაციისათვის.

1986 წ., 27 თებერვალი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4385. საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა. კირილინს აცნობს ფიზიკის ინსტიტუტში მიმდინარე სამუშაოებს და სთხოვს ფინანსურ დახმარებას.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

4386. გ. ჯავახიშვილი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. პერეჟუხინს ატყობინებს კოსმოსური სხივების შესასწავლად სამეცნიერო-კვლევითი ბაზის მშენებლობისთვის ადგილის შერჩევის შესახებ. ერთვის სსრკ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის თებერვლის დადგენილება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, სულ 3 ფ.

4387. გ. ჯავახიშვილის წერილი სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ლ. ვ. სმირნოვს. საუბარია ფიზიკის ინსტიტუტის აღჭურვილობის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4388. ა. ჯანელიძე ირაკლი ანდრონიკოვს ატყობინებს ელ. ანდრონიკაშვილის ავადმყოფობის და ასპირანტ საყვარელიძისთვის აკადემიური შევსებების მიცემის შესახებ.

პირი: საყვარელიძე, მანანა და ეკა [ანდრონიკოვები]  
1953 წ., 2 აპრილი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

4389. ე. ჰინცის წერილი პროფ. ცინცაძეს.  
აცნობებს, რომ თბილისში დაგეგმილ პლაზმური ფიზიკის სემინარზე დროის უქონლობის გამო ვერ ჩამოვა.

1976 წ., 23 აპრილი, ინგლისურ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

## ადმინისტრაცია – საკანცელარიო საქმე

### აქტები

4390. აქტები (3 ცალი) – შესრულებული სამუშაოს ჩაბარების შესახებ.

1949 წ., 8 ოქტომბერი, 8 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4391. აქტები (7 ცალი) – იალბუზის ექსპედიციის შესახებ.

1950 წ., ივლისი, 1951 წ., 2-3 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი,  
ხელით ნაწერი, 16 ფ.

4392. აქტი – სამსახურებრივი მანქანის მიერ გავლილი კილომეტრების შესახებ.

1951 წ., 30 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, შავად ნაწერი, 1 ფ.



4393. აქტები – შედგენილი კვირა დღეს მექანიკურ საამქროში კ. პატარქალიშვილის მუშაობის გამო.

1951 წ., 3 ივნისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4394. აქტები – იალბუზის მაღალმთიანი ექსპედიციის თანამშრომლის რუხაძის მიერ მასზე დაკისრებული სამუშაოების შეუსრულებლობის შესახებ. ხელს აწერენ: ელ. ანდრონიკაშვილი, ჯ. წაქაძე, თ. ყანხელი.

1951 წ., 28 აგვისტო, ქართულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4395. ექსპერტიზის აქტი – საექსპერტო კომისიის წევრები (გ. ჩიქოვანი, ი. მამალაძე, ნ. პოლიტოვი) ადასტურებენ, რომ ელ. ანდრონიკაშვილის ნაშრომში - „სამეცნიერო პოლიტიკა და საქართველოს საწარმოო ძალების განვითარება“ – არაა ისეთი მონაცემები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენენ და მიზანშეწონილად მიიჩნევენ მის გამოქვეყნებას.

1962 წ., 15 აგვისტო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4396. აქტები იმ კომისიის მუშაობის შესახებ, რომელიც ოსტანევიჩის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე არკვევდა შიბერ №1-ის მუშაობის საკითხს.

1965 წ., 5 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 5 ფ.

4397. აქტები იმ მასალების ექსპერტიზისა, რომლებიც საპუბლიკაციოდ გაშვადებული. პუბლიკაციათა ავტორები არიან: კურდიუმოვა, დონხერი, ანდრონიკაშვილი, პოლიტოვი, პაპერნო, ვოროჟეიკინა. აქვეა თეზისები და ცნობები იმის შესახებ, რომ შრომის წერისას ავტორებს არ გამოუყენებიათ მონაცემები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენენ.

1971 წ., 22 ივნისი, რუსულ ენაზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 21 ფ.

4398. ოქროს კონცენტრაციის განმსაზღვრელი ხელსაწყო დანერგვის ტექნიკური აქტი.

1984 წ., 2 თებერვალი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4399. დანერგვის ტექნიკური აქტი იმის თაობაზე, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული და დამზადებული სტანდარტული ნიმუშები, რომლებმაც სახელმწიფო ატესტაცია გაიარეს, შეტანილია სსრკ სახელმწიფო რეესტრში.

1986 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4400. ბ. ბუდა, ვ. გამბარიანი, გ. კიკნაძე, ბ. ლიტვინოვი, რ. ლუდვიგოვი, ი. ნატალენკო, ლ. ფელდმანი, ვ. ჭანტურია ადასტურებენ, რომ მუშაობის პროცესში არ გამოუყენებიათ დაუშთავრებელი სამუშაოს შედეგები, გრიფით „საიდუმლოს“ მონაცემები და ის მასალები, რომლებიც გამოქვეყნებას არ ექვემდებარებიან.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 16 ფ.

## ბრძანებები

4401. ბრძანებები – იალბუზის ექსპედიციის შესახებ.

1950 წ., 23 ივლისი, 17 სექტემბერი, რუსულ ენაზე,  
ნაბეჭდი, 2 ცალი, 2 ფ.

4402. ბრძანება – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საწყობიდან მზა პროდუქციის გაცემის შესახებ.

1954 წ., 30 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4403. ბრძანება – გამცემლიძის და ყანჭელის ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის გამგის მოადგილეებად დანიშვნის შესახებ. ხელს აწერს ე. ხარაძე.

1965 წ., ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4404. ბრძანება – უნივერსიტეტში ფიზიკის ფაკულტეტზე ბიოფიზიკოსთა მომზადების უზრუნველსაყოფად ბიოფიზიკის საგნობრივი კომისიის შექმნის შესახებ.

1965 წ., 23 მარტი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4405. ბრძანება – ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესახებ.

1968 წ., 24 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

4406. ბრძანება – ფიზიკის მეცნიერების განვითარებაში დიდი ღვაწლისთვის ელ. ანდრონიკაშვილის „ივანე ჯავახიშვილის მედლით“ დაჯილდოვების შესახებ.

1970 წ., 25 დეკემბერი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4407. ამონაწერი – 1964 წ. 29 იანვრის №38/I ბრძანებიდან რეაქტორებზე მიმდინარე ძირითადი კვლევების მთავარი ორგანიზაციების დამტკიცების შესახებ.

1971 წ., 8 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4408. ბრძანება – ფიზიკის ინსტიტუტში ამოცანათა შესრულების უზრუნველსაყოფად სამუშაოთა უკეთესი ორგანიზების შესახებ.

1974 წ., აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 ფ.

4409. ბრძანება იმის შესახებ, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დირექციასთან ერთად ინსტიტუტის წინაშე მდგარი ამოცანების გადასაჭრელად შექმნან მორალური წანამძღვრები. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

1974 წ., 25 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

4410. ბრძანება გრიფის „სამსახურეობრივი გამოყენებისთვის“ მოხსნის თაობაზე. ხელს აწერს ნ. გიორგაძე.

1977 წ., 2 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4411. ბრძანება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზირებული საბჭოს დამტკიცების შესახებ.

1982 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

4412. კიბოს ბიოფიზიკის პრობლემების შემსწავლელი საკავშირო კომისიის სტრუქტურა. ერთვის ბრძანება ზემოხსენებული კომისიის სტრუქტურისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

1983 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4413. ბრძანება – თანამშრომელთა დანიშვნა – გათავისუფლების შესახებ. ხელს აწერს ელ. ანდრონიკაშვილი.

1986 წ., ნოემბერი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

### **განკარგულებები და გადაწყვეტილებები**

4414. ამონაწერი განკარგულებიდან №105. საუბარია მეცნიერებათა აკადემიისთვის სასაწყობე ნაგებობების გადაცემის შესახებ.

1950 წ., 17 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4415. სსრკ გამოგონებისა და აღმოჩენების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ელ. ანდრონიკაშვილს, ლ. პოლაკს, ვ. გომელაურს, ნ. ნამეტკინს, გ. ქარუმიძეს, ვ. პოპოვს და გ. რატიანს მიენიჭათ საავტორო უფლება ნაშრომისთვის „ბირთვული რეაქტორი განკუთვნილი რადიაციულ-თერმული კრეკინგისა და იმავდროულად ელექტროენერჯის გამომუშავებისთვის“.

1963 წ., 20 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4416. განკარგულება საშემოდგომო სკოლის ჩატარების შესახებ (კრისტალებში დეფექტებისა და რადიაციული დაზიანებების თეორია).

1965 წ., სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4417. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის სამეცნიერო საბჭოს ყრილობის (მოსკოვი, 1970 წ. 19-21 მაისი) გადაწყვეტილება.

1970 წ., 19-21 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

4418. განკარგულება – ფიზიკის ფაკულტეტის იმ კურსდამთავრებულების შესახებ, რომლებიც დაშვებულ იქნენ სახელმწიფო გამოცდაზე.

1970 წ., 26 მაისი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

4419. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის განკარგულება მყარი სხეულების დაბალტემპერატურიანი რადიაციული ფიზიკის განვითარების შესახებ. ხელს აწერს მ. კელდიში.

1971 წ., აგვისტო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4420. განკარგულება იპოდრომის წინ მდებარე ფიზიკის ინსტიტუტის საუწყებო სახლში ერთი ბინის სასტუმროდ გამოყენების შესახებ. ხელს აწერს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი.

1971 წ., 29 დეკემბერი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4421. 1. გადაწყვეტილება სამეცნიერო ექსპერიმენტების ავტომატიზაციის სისტემების შექმნაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების სიაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ჩართვის შესახებ.  
2. 1974 წ. 25-27 ივნისს თბილისში გამართული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ავტომატიზაციის სამეცნიერო კვლევების დარგში არსებული ბიუროს საბჭოსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კვლევების ავტომატიზაციის საბჭოს ერთობლივი სხდომის გადაწყვეტილება.

1974 წ., ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

4422. გადაწყვეტილება მიღებული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო კვლევების ავტომატიზაციის საბჭოსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კვლევების ავტომატიზაციის საბჭოს ერთობლივ სხდომაზე.

1974 წ., 25-27 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

4423. სსრკ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სსრკ ატომური ენერჯიების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ერთობლივი გადაწყვეტილება მე-8 კონფერენციის ჩატარების თაობაზე, რომელზეც განხილული იქნება კვლევით რეაქტორებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციის საკითხები.

1974 წ., 11 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

4424. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის განკარგულება მრეწველობისა და მშენებლობის დარგში სამეცნიერო – ტექნიკური მიღწევების გამოყენების შესახებ.

1974 წ., 14 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

4425. 1. გადაწყვეტილება პარტიული კომისიის მიერ ფიზიკის ინსტიტუტის დირექციის ფინანსური საქმიანობის შემოწმების შესახებ.

1977 წ., 22 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

2. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. გომელაურის მოხსენებითი ბარათი - სახალხო კონტროლის თავმჯდომარე ო. მელქაძეს აცნობს თავის მოსაზრებებს ფიზიკის ინსტიტუტის საჭიროებების შესახებ.

1977 21 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

3. ა. მიგდალის წერილი ელ. ანდრონიკაშვილს. შეშფოთებას გამოთქვამს ინსტიტუტში შექმნილი მდგომარეობის გამო და საჭიროების შემთხვევაში თანადგომას სთავაზობს.

1977 წ., 29 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4426. განკარგულება თბილისში 1979 წ. 13-19 სექტემბერს „მყარი სხეულების რადიაციულ ფიზიკაში“ საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების შესახებ.

1978 წ., 11 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

4427. ზედაბალი ტემპერატურების ფიზიკისა და ტექნიკის რესპუბლიკური სემინარის გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული დარგის განვითარების შესახებ.

1983 წ., სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4428. მეორე საკავშირო სამუშაო თათბირის (ლითონებთან ბიომაკრომოლეკულების კომპლექსების ფიზიკა) გადაწყვეტილება.

1987 წ., ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4429. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის განკარგულება 1987 წ. 6-8 აგვისტოს თბილისში, ფიზიკის ინსტიტუტში საერთაშორისო სიმპოზიუმის - „დნმ-ის ფიზიკა-ქიმია და გენომის ფუნქციონირების მოლეკულური მექანიზმი“ ჩატარების შესახებ. ერთვის საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა სია.

1987 წ., 10 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4430. განკარგულება იმის შესახებ, რომ გაზომვითი ტექნიკის ბაზის შექმნასთან დაკავშირებით განყოფილებების გამგეობმა უნდა მიაწოდონ მონაცემები. ხელს აწერს ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ზ. მანჯავიძე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

## განრიგები

4431. უნივერსიტეტის ფიზიკურ-ტექნიკური ფაკულტეტის სასწავლო-მწარმოებელი პერსონალის (1951-1952 წწ.) განრიგი. ხელს აწერს პროფ. ნ. კეცხოველი.

1951 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4432. დირექტორის კაბინეტში მოადგილეების მორიგეობის განრიგი.

1968 წ., 4 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4433. თ. ცეცხლაძის ლექციების ცხრილი.

1970 წ., 25 მარტი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4434. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომის დღის წესრიგი.

1973 წ., 18 იანვარი, 6 თებერვალი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ცალი, 2 ფ.

4435. КИП-ის საშტატო განრიგი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4436. საშტატო განრიგი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 8 ფ.

### განცხადებები

4437. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი მსუ-ს ფიზიკურ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკან სოლონოვს სთხოვს, რომ მისი სამსახური ლაბორატორიაში ჩაითვალოს შეთავსებით სამუშაოდ, რადგან იგი სხვაგანაც მუშაობს.

1947 წ., 19 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4438. განცხადება – პროფ. ა. შალნიკოვი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორ ს. ხრისტოვს სთხოვს, რომ შენობის რემონტის თანმიმდევრობა შეცვალოს.

1947 წ., 30 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4439. განცხადება – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა განყოფილების და კათედრის გამგეს სთხოვენ, რომ ბიუჯეტის შესადგენად წარმოადგინონ მონაცემები.

1948 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4440. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი ნ. კეცხოველს სთხოვს, რომ ნება დართოს, რათა 1950 წ. შემოდგომაზე ზოგად ფიზიკაში ჩატარდეს მეთოდური სემინარი.

1950 წ., 6 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4441. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი უნივერსიტეტის რექტორ ვ. კუპრაძეს სთხოვს, რომ სასწრაფოდ შეიძინონ ფერადი ლითონები.

1954 წ., სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4442. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი ვ. კუპრაძეს სთხოვს, რომ ანუღირება გაუკეთონ 1954 წ. 6 ივლისის ბრძანებას ზოგიერთი თანამშრომლის ვითომდა შევებულებაში ყოფნის შესახებ.

1954 წ., სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4443. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი ვ. კუპრაძეს სთხოვს, რომ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე მდებარე კრიოგენური პავილიონის გვერდით არ აშენდეს ავტოფარეხი.

1954 წ., სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4444. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი უნივერსიტეტის პრორექტორ ა. კანდელაკს სთხოვს, რომ უნივერსიტეტის (დღევანდელი ჭავჭავაძის) ქ. №24-ში მდებარე მის ბინაში გაიყვანონ პერსონალური ცენტრალური გათბობა. აქვეა წარმოდგენილი კანდელაკის თანხმობაც.

1954 წ., 16 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4445. 1. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი საქართველოს ვაჭრობის მინისტრ საბანაძეს სთხოვს, რომ 1956 წ. ავტომანქანა „პობედა“ ურიგოდ მისცეს.  
2. ცნობა გაცემული ელ. ანდრონიკაშვილის სახელზე მასზედ, რომ იგი არის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი და აქვს ხელფასი 9000 მანეთის ოდენობის.  
3. ცნობა გაცემული ელ. ანდრონიკაშვილის სახელზე მასზედ, რომ მის მფლობელობაში არ ირიცხება ავტომანქანა „პობედა“ და „მოსკვიჩი“.

1955 წ., 25 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 3 ფ.

4446. განცხადება – ჯ. სანიკიძე ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ გაათავისუფლოს სამსახურიდან, რათა დაამთავროს დისერტაციაზე მუშაობა.

1959 წ., 14 მაისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4447. განცხადება – 26 კომისრების რაიონის რაიაღმასკომის თავმჯდომარე მოსაშვილი ორჯონიკიძის რაიონის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს სთხოვს, რომ განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება სარქისიანის საცხოვრებელი ფართის საკითხის შესახებ.

1961 წ., 20 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4448. განცხადება – რ. ჯიბლაძე ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ ინსტიტუტში შექმნილი პირობების გამო გაათავისუფლოს სამსახურიდან. განცხადებაზე ელ. ანდრონიკაშვილის მინაწერია. იგი ჩამოთვლის სამ პირობას, რომელთა გამოც განმცხადებელმა სამსახური არ უნდა დატოვოს.

1962 წ., 9 ოქტომბერი, ქართულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4449. განცხადება – ზ. მანჯავიძე ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ გაათავისუფლოს დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან.

1964 წ., 6 მაისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4450. განცხადება – ი. პაპერნო ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს სთხოვს, რომ სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობიდან.

1965 წ., 9 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4451. განცხადება – ინჟინერი რაზმაძე თხოულობს, რომ სხვა სამსახურში გადასვლასთან დაკავშირებით გაათავისუფლონ დაკავებული თანამდებობიდან.

1965 წ., 9 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4452. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი აკად. ვ. კუპრაძეს სთხოვს, რომ მუხათგვერდის ატომური რეაქტორის საქვების შესაკეთებლად სასწრაფოდ გამოყონ 5000 მანეთი და გადაავადონ თემების შესრულების ვადა. ერთვის ამ თემათა ჩამონათვალი.

1965 წ., 21 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4453. განცხადება – უფროსი ინჟინერი თ. გრიგალაშვილი თხოულობს, რომ სამსახურიდან გაათავისუფლონ.

1965 წ., 18 ნოემბერი, ქართულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4454. მოხსენებითი ბარათი – ვ. გვახარია ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს განყოფილების გამგის მოვალეობისგან გადაიყვანოს სხვა შესაფერის თანამდებობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კი გაათავისუფლოს სამსახურიდან.

1966 წ., 22 ნოემბერი, ქართულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4455. განცხადება – ვ. გოგოლაძე ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.

1968 წ., 11 მარტი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4456. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვენ, რომ ნება დართოს და ამავედროულად დაესწროს ზეიმს, რომელიც ძველი 1968 წლის გაცილებას ეძღვნება.

1968 წ., 9 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4457. განცხადება – ი. ჯიბლაძე ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.



1969 წ., 2 აპრილი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4458. განცხადება – ს. მიქუტიშვილი ითხოვს სხვა სამუშაოზე გადასვლას.

1969 წ., 3 სექტემბერი, ქართულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4459. კ. ქავთარაძის განცხადება. კავშირგაბმულობის სამინისტროს სთხოვს, რომ გაუყვანონ და ჩააბარონ კაბელი.

1970 წ., 12 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4460. განცხადება – ლ. ჩხაიძე ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ კურსდამთავრებულები – ჩაჩანიძე და შმუკლერი სამუშაოდ განაწილებულ იქნენ მათემატიკური უზრუნველყოფის ლაბორატორიაში.

1970 წ., 26 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4461. განცხადება – თ. დავითაშვილი ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ მყარი სხეულების ფიზიკის განყოფილებაში ჩაირიცხონ კურსდამთავრებულები: მ. ორველაშვილი, ვ. სვაპლინი, ნ. მირცხულავა, ა. ჯაგაროვი.

1970 წ., 27 მაისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4462. ნ. პოლიტოვის განცხადება - ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ დაამტკიცოს III სართულზე ჰელიუმის დასაბრუნებელი ხაზის პროექტი. ერთვის პროექტი.

1970 წ., 29 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4463. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი და ჯ. წაქაძე ინსტიტუტის პარტიზურის მიმართავენ თხოვნით, რომ თბილისის საქალაქო საბჭოში დეპუტატობის კანდიდატად წარადგინონ ლ. მოსულიშვილი.

1973 წ., 1 აპრილი, 1974 წ., 1 აპრილი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ცალი, 2 ფ.

4464. უცნობის განცხადება ელ. ანდრონიკაშვილს - სთხოვს, რომ დააბრუნონ ძველ განყოფილებაში.

1977 წ., 27 აპრილი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

4465. განცხადება – გ. ქარუმიძე ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ განიხილოს ი. ბუხუკაშვილის და გ. ნელიუბინასთვის ტექნოლოგიური კონტროლის გაწევის მოვალეობის დაკისრების საკითხი.

1977 წ., 17 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4466. განცხადება - კომპლექტაციის სამსახურის დროებითი უფროსი მ. ვუგალტერი ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს დააბრუნოს ძველ თანამდებობაზე - განყოფილების ინჟინრად.

1978 წ., 16 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4467. განცხადება – ა. მელქონიანი ელ. ანდრონიკაშვილს ატყობინებს 1975 წ. მასალების გაყიდვის თაობაზე პროკურატურაში გადაცემული საქმის შესახებ.

პირი: ცაბაძე, კილაძე  
1978 წ., 12 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4468. განცხადება – თ. მაჩაიძე ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ მიიღოს სამსახურში.

1979 წ., 10 ოქტომბერი, ქართულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4469. ზ. მანჯავიძის მოხსენებითი ბარათი ელ. ანდრონიკაშვილს. სთხოვს, რომ მის განკარგულებაში აღადგინოს საშტატო ერთეულები..

1980 წ., 15 აგვისტო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4470. განცხადება – მთავარი ენერგეტიკოსის დ. კალანდაძის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ.

1980 წ., 15 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4471. განცხადება – ბირთვული ცენტრის თანამშრომელი მაცაბერიძე თხოულობს ხელფასის მომატებას.

1980 წ., 15 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4472. განცხადება – თ. ცეცხლაძე ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ ლ. ნადირაშვილი უფროსი ინჟინრის თანამდებობიდან გადაიყვანოს უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1983 წ., 7 იანვარი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4473. განცხადება იმის თაობაზე, რომ 1983 წ. 1 ივნისს შედგება ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა.

1983 წ., მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4474. განცხადება – ი. მანჯავიძე ელ. ანდრონიკაშვილს შრომების გამოსაცემად ნებართვას სთხოვს.

1984 წ., 14 მაისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4475. განცხადება – დ. ცხაკაია ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს ნება დართოს სტატია გააგზავნოს ჟურნალ „T. of Plasma Physics“-ში.

1984 წ., 31 მაისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4476. განცხადება – დ. ღარიბაშვილი ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ ნება დართოს გააფორმოს XVIII სკოლაში გასაგზავნი შეტყობინება.

1984წ., 4 ივნისი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4477. განცხადება – ზ. მანჯავიძე ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ გაათავისუფლოს განყოფილების გამგის თანამდებობიდან, რადგანაც არ ეთანხმება ინსტიტუტის სტრუქტურის საკითხში.

1986 წ., 5 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4478. განცხადება – ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ჩატარების შესახებ.

1987 წ., იანვარი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4479. განცხადება – ა. შტეერმანი ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ თ. მდინარაძეს და გ. ივანიშვილს გაეზარდოთ ხელფასი 125 მანეთამდე.

1987 წ., 10 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4480. განცხადება – ი. ოსიპიანი გ. ხარაძეს აცნობებს, რომ ხელსაწყოებსა და მოწყობილობაზე განაცხადი უნდა წარადგინოს არაუგვიანეს 1987 წ. 25 დეკემბრისა.

1987 წ., 21 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4481. განცხადება – ვ. ადენი გ. ქარუმიძეს სთხოვს განიხილოს საკითხი 20-40<sup>0</sup>K-ზე რადიაციული დაცვის მასალების რეაქტორული და რეაქტორის შემდგომი გამოცდის შესახებ.

1988 წ., 15 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4482. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს სთხოვს, რომ შვებულების პერიოდში ბიულეტენზე გატარებული 7 დღის სანაცვლოდ გაუგრძელონ შვებულება.

1988 წ., 25 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4483. განცხადებები – ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომების ჩატარების შესახებ.

1988წ., 5 მაისი, 1989 წ., 13 ივნისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ნაბეჭდი, 5 ცალი, 5 ფ.

4484. განცხადება – 1971 – 1973 წლებში ფიზიკის ინსტიტუტისთვის საშტატო ერთეულების, ხელფასების და მოწყობილობების საყიდელი თანხის გაზრდის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 3 ფ.

4485. განცხადება – ელ. ანდრონიკაშვილი განყოფილებებისა და ლაბორატორიების ხელმძღვანელებს სთხოვს, რომ წარუდგინონ წლიური შეკვეთების სია.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4486. განცხადება – გამოყენებით ბირთვულ ფიზიკაში მე-14 სხდომის ჩატარების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4487. განცხადება – დ. კოტლიარევსკი ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვს, რომ კურსდამთავრებულები მ. ათანელაშვილი და ი. პაზნაშვილი განაწილებული იქნენ მათ ლაბორატორიაში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4488. განცხადება – ი. მამალაძე თხოულობს, რომ მ. ქემოკლიძის ნაცვლად ფიზიკის ინსტიტუტში ჩაირიცხოს ლ. კიკნაძე.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4489. განცხადება – ე. სეხნიაშვილი ჯანმრთელობის მინისტრ ი. მენაღარიშვილს სთხოვს, რომ ელ. ანდრონიკაშვილისთვის, რომელსაც შარდის ბუშტის სიმსივნე აქვს, გფრ-ში წამლების შესაძენად გამოყოს უცხოური ვალუტა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4490. განცხადება – ფიზიკურ-ბიოლოგიური პრობლემების სექტორის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ჩატარების თაობაზე. ხელს აწერს საბჭოს სწავლული მდივანი ა. კვირიკაძე.

უთარილო, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4491. განცხადება – ჯ. წაქაძე ი. ნასყიდაშვილს სთხოვს, რომ კურსდამთავრებულები ლ. კოვალი და ლ. კანო ჩაირიცხონ ზეგამტარობის ლაბორატორიაში.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4492. განცხადება – გ. ხარაძე, რ. ჯაბუა, ო. ყანჩელი და დ. კოტლიარევსკი ელ. ანდრონიკაშვილს სთხოვენ, რომ გამოთვლითი მათემატიკისათვის გამოყონ შენობა.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4493. განცხადება – ე. ჯაფარიძე სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ბაიბაკოვს სთხოვს, რომ თბილისის უნივერსიტეტისთვის, 1970 წლისთვის შეიძინონ ელექტრო-ციფრული გამომთვლელი მანქანა ЭЦБМ-М-220.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

## დადგენილებები

4494. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება იმის თაობაზე, რომ ფიზიკის ინსტიტუტის დირექციამ პრეზიდიუმს უნდა წარუდგინოს იმ თანამშრომლების სია, რომლებიც კარსანში იმუშავენ.

1953 წ., ქართულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4495. 1. დადგენილება – სსრკ უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორთა ასისტენტების შტატების შესახებ.
2. ბრძანება – სალექციო ასისტენტების მდგომარეობის დამტკიცების შესახებ.

1953 წ., 18 აგვისტო, 2 სექტემბერი, ნაბეჭდი, 4 ფ.

4496. სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება კოსმოსური სხივების ფიზიკის დარგში კვლევების განვითარების შესახებ. (სამ ვარიანტად).

1954 წ., იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 42 ფ.

4497. სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების დანართი №1: ღონისძიებები ინსტიტუტების და კოსმოსური სხივების ფიზიკის პრობლემებზე მომუშავე მაღალმთიანი და სტრატოსფერული სადგურების მშენებლობის ორგანიზების შესახებ.
2. დანართი №2: სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს სისტემაში კოსმოსური სხივების დარგში კვლევითი და სასწავლო სამუშაოების ორგანიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ.
3. დანართი №3: კოსმოსური სხივების შესასწავლად ახალი აპარატურის შემუშავებისა და დამზადების შესახებ.
4. დანართი №4: თვითმფრინავებისა და ბუმტ-ზონდების დახმარებით მიმდინარე კოსმოსური სხივების კვლევის უზრუნველსაყოფი ღონისძიებების შესახებ.
5. დანართი №5: კოსმოსური სხივების ფიზიკის დარგში სამუშაოთა გასაფართოებლად დამატებითი საშტატო ერთეულების გამოყოფის შესახებ.
6. დანართი №6: კოსმოსური სხივების ფიზიკის დარგში მომუშავეთა სახელფასო პირობების გაუმჯობესების შესახებ.
7. დადგენილება: კოსმოსური სხივების ფიზიკის დარგში კვლევების გაფართოების შესახებ.

1954 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 34 ფ.

4498. სსრკ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდიუმების დადგენილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო მოღვაწეობის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარების მიმართულებების შესახებ.

1954 წ., 2 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 12 ფ.

4499. დადგენილება კოსმოსური სხივების ფიზიკის დარგში ატომური ბირთვის კვლევების შემდგომი განვითარების შესახებ. ერთვის შენიშვნები.

1955 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 5 ფ.

4500. სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება კოსმოსური სხივების შესასწავლად სამეცნიერო-კვლევითი ბაზის გაფართოების შესახებ.

1955 წ., 28 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

4501. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება სამეცნიერო საბჭოების დამტკიცების შესახებ.

1957 წ., 30 აგვისტო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

4502. სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1959 წ. 10 დეკემბერს მიღებული დადგენილების დამატებები სამუშაოების შეზღუდვის შესახებ.

1960 წ., 9 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4503. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება სარაკეტო ტექნიკის საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების განვითარების შესახებ.

1960 წ., ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4504. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 1961 წ. 8 სექტემბრის დადგენილების დანართი: საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სამეცნიერო საბჭოს დროებითი მდგომარეობა.

1961 წ., 8 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

4505. დადგენილება – მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებისა და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალების საკოორდინაციო საბჭოს XX სესიის.

1962 წ., 16 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 4 ფ.

4506. დადგენილება – რეაქტორებზე შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინაციასთან დაკავშირებით შემდგარი V თათბირის შესახებ.

1965 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 31 ფ.

4507. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება სამთო მრეწველობის საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის შესახებ.

1965 წ., 18 მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

4508. 1. დადგენილება სსრკ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოებში ნედლეულის, კონცენტრატებისა და ლითონების ავტომატური ანალიზისთვის საჭირო აპარატურის და ხელსაწყოებში ბირთვული ფიზიკის უახლესი მიღწევებისა და დაჩქარებული ტექნიკის გამოსაყენებლად სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების წარმოების შესახებ. 2. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება ზემოაღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად საჭირო რესურსების (ფინანსური და ადამიანური) გამოყოფის შესახებ.

1966 წ., 23 აპრილი, მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

4509. სსრკ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება შავი და ფერადი მეტალურგიის საწარმოებში ნედლეულის, კონცენტრატებისა და ლითონების ავტომატური ანალიზისთვის ბირთვული ფიზიკის უახლესი მიღწევების გამოსაყენებლად სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარების შესახებ.

1966 წ., 3 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4510. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება შავი და ფერადი მეტალურგიის აქტივაციის ანალიზის სამუშაოთა უზრუნველყოფის შესახებ.

1966 წ., მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4511. სსრკ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება შავი და ფერადი მეტალურგიის პროდუქტებში სხვადასხვა ქიმიური ელემენტების კონცენტრაციის აქტივაციური ანალიზის სამუშაოთა უზრუნველყოფის შესახებ.

1966 წ., მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4512. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება სამეცნიერო კვლევების მატერიალური ბაზის განმტკიცების შესახებ.

1966 წ., ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4513. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება სამრეწველო დაწესებულებებში კონსულტანტთა სახით გამოჩენილ მეცნიერთა მოწვევის შესახებ.

1966 წ., 27 აგვისტო, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4514. 1. დადგენილება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ობიექტების დამცველი საუწყებო მილიციის განყოფილების შესახებ. ხელს აწერენ მ. სომოროვი და დ. გოგელია.

2. დადგენილება – ფიზიკის ინსტიტუტის ობიექტების დასაცავად პოსტების დისლოკაციის შესახებ.

3. ფიზიკის ინსტიტუტის სამუშაო განაწესი.

1966 წ., 29 დეკემბერი, 1968 წ., 19 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

4515. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს დადგენილება იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევითი ორგანიზაციების მუშაობის ეფექტურობას და მეცნიერების და ტექნიკის მიღწევათა გამოყენებას სახალხო მეურნეობაში.

1968 წ., 24 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4516. დადგენილება სამეცნიერო კვლევების ავტომატიზაციასთან დაკავშირებული საბჭოების მუშაობის შესახებ. ერთვის საბჭოების წევრების სია.

1969 წ., 5 მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 18 ფ.

4517. 1. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება - ფიზიკის ინსტიტუტისათვის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის და დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციების დაცვის უფლების მინიჭების შესახებ.

2. სსრკ განათლების მინისტრის ბრძანება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის საატესტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

1973 წ., 6 დეკემბერი, ქართულ და რუსულ ენებზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

4518. დადგენილება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტთან არსებული ბირთვული რეაქტორის რადიაციული კონტურის ბაზაზე მერქნის რადიაციულ-ქიმიური მოდიფიცირების დანადგარის პროექტირების შესახებ. ერთვის რადიაციულ-ქიმიური მეთოდით მიღებული წიფელის მერქნის ეკონომიის დაანგარიშების შედეგები (წელიწადში 2000 კუბ.მ.).

1973 წ., 9 თებერვალი, 1974 წ., 12 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

4519. დადგენილება – სოფლის მეურნეობაში ატომური ენერჯის გამოყენების შესახებ. ერთვის მოხსენებითი ბარათი და გ. მაჭარაშვილის წერილი ელ. ანდრონიკაშვილს. სთავაზობს ახალ სათაურს.

1974 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

4520. სსრკ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენებითი რადიაციული ქიმიის სამეცნიერო-ტექნიკური კომისიის დადგენილება. ერთვის 1976-1980 წლებში სახალხო მეურნეობაში ბირთვული რეაქტორების კომპლექსური ენერგო-რადიაციულ-ტექნოლოგიური გამოყენებისთვის სათავო ნიმუშების შესაქმნელად სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების გეგმა.

1974 წ., 19 მარტი, 5 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

4521. დადგენილება – მოლეკულური ბიოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის პრობლემების სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შესახებ.

1974 წ., 17 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 12 ფ.

4522. 1. დადგენილება – საქართველოში მერქან-პლასტმასის მასალების რადიაციულ-ქიმიური საცდელი წარმოებისთვის საწარმოს შექმნის შესახებ.

2. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დადგენილების პროექტი, რომელიც წარმოადგინა საქართველოს მინისტრთა საბჭომ.

1975 წ., იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

4523. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება აკად. ი. ბერიტაშვილის დაბადების 90-ე წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებათა შესახებ.



1975 წ., 17 აპრილი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4524. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა მუდმივი კომისიის დადგენილება – საზღვარგარეთის ქვეყნებთან რესპუბლიკის მეცნიერული და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ.

1976 წ., 22 ივნისი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

4525. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1977 წ. 11 იანვრის დადგენილება სახელმწიფო პრემიების გაცემის შესახებ.

1977 წ., 11 იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

4526. თბილისის საქალაქო კომიტეტის სახალხო კონტროლის დადგენილება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში უხეში დარღვევებისა და სერიოზული დანაკლისის შესახებ.

1977 წ., 19 აპრილი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 ფ.

4527. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი ფიზიკისა და ასტრონომიის განყოფილების ბიუროს დადგენილება (ამონაწერი 1977 წ. 21 დეკემბრის სხდომის ოქმიდან).

2. ზემოსხენებული ბიუროს დადგენილება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ.

1977 წ., 21 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 22 ფ.

4528. დადგენილება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მიერ არტემ მელქონიანის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ. ხელს აწერენ: დ. ბოჭორიშვილი და ო. შალიკიანი.

1978 წ., 25 დეკემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4529. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული ცენტრის რეკონსტრუქციისთვის და ფიზიკის ინსტიტუტის კაპიტალური რემონტისათვის ასიგნირების გამოყოფის შესახებ.

1980 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4530. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება 1981 წლის სოციალისტური ვალდებულებების შესახებ.

[1980 წ.], ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

4531. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის შემდგომი განვითარების შესახებ ხელს აწერენ: ე. ხარაძე და ნ. ლანდია.

1980 წ., 10 ივლისი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4532. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება ხელსაწყოთმშენებლობის შემდგომი განვითარების შესახებ.

1980 წ., 18 დეკემბერი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

4533. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ამოცანების შესახებ.

1980 წ., 18 დეკემბერი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4534. სსრკ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის შესახებ.

1981 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

4535. დადგენილება, რომელიც სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ელ. ანდრონიკაშვილის მოხსენების „ლითონები და სიმსივნური ზრდა“ მოსმენის შემდეგ მიიღო.

1981 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

4536. სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ პრობლემის „ლითონები და სიმსივნური ზრდა“ განვითარებისთვის მოითხოვონ სახსრები.

1981წ., ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4537. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის პარტბიუროს დადგენილება ბირთვულ ცენტრში შექმნილი მდგომარეობის გაჯანსაღების შესახებ.

1981 წ., 10 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4538. საუწყებათაშორისო საბჭოს დადგენილება სსრკ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმსა და სსრკ საგეგმო კომისიაში წინადადებების შეტანის შესახებ.

1981 წ., 13 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4539. დადგენილება, რომელიც სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ მიიღო ელ. ანდრონიკაშვილის მიერ მოხსენების „ლითონები და სიმსივნური ზრდა“ წაკითხვის შემდეგ.

1981 წ., ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

4540. 1. მეცნიერებისა და ტექნიკის სსრკ სახელმწიფო კომიტეტის და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება საუწყებათაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს (ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიის და ბიოტექნოლოგიის საკითხებში) შემადგენლობის შესახებ.

2. დებულება ზემოხსენებული საბჭოს მოვალეობების შესახებ.

1982 წ., მაისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

4541. დადგენილება მიღებული მას შემდეგ, რაც ელ. ანდრონიკაშვილმა წაიკითხა მოხსენება „ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებაში ლითონების როლი და კანცეროგენების მიკროსკოპული თეორია“.

1983 წ., მარტი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4542. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის XI ხუთწლედში საკავშირო მიზნობრივი და კომპლექსური პროგრამების შესრულების შედეგების და XII ხუთწლედში საკავშირო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამების შესრულებაში მონაწილეობის შესახებ.

1986 წ., 18 ნოემბერი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4543. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 70-ე წლისთავის აღნიშვნის შესახებ.

1987 წ., მარტი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4544. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობისა და წევრ-კორესპონდენტობის კანდიდატების შესახებ წარმოდგენილი მასალების განსახილველად დარგობრივი საექსპორტო კომისიების შექმნის შესახებ.

1988 წ., ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4545. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება სამეცნიერო დაწესებულებების დირექტორების ვაკანსიების შესახებ. ხელს აწერენ აკად. ა. პროხოროვი და. ე. ტრუშინი.

1988 წ., 25 ივლისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4546. 1988 წ. 26-29 მაისს ოდესაში გამართული XXVII სემინარის (არალითონურ მყარ სხეულებში ატომარული და ელექტრონული პროცესების კვანტო-ქიმიური მოდელირება) დადგენილება.

1988 წ., 1 აგვისტო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 კ., 2 ფ.

4547. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილება ფიზიკის ინსტიტუტში კიბოს ბიოფიზიკის და ბიოქიმიის დარგში კვლევის შედეგებისა და შემდგომი განვითარების შესახებ.

უთარილო, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4548. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება მანგანუმის მრეწველობის ავტომატიზაციის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4549. დადგენილება – ფიზიკის ინსტიტუტის დამხმარე სამსახურებით (ენერგო-მეურნეობა, თბომეურნეობა, სანტექნიკა, მექანიკური საამქრო) უზრუნველყოფის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4550. სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილება მაღალი და ზემოდალი ენერგიების პირობებში ბირთვული ფიზიკის განვითარების შესახებ. ადრესატი ნ. დობროტინი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 5 ფ.

4551. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიურ-ბიოლოგიურ მეცნიერებათა სექციის დადგენილება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 3 ფ.

4552. საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება ფიზიკის ინსტიტუტის მუშაობის შემდგომ გაფართოებასთან დაკავშირებით.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ერთვის დედანი, 5 ფ.

4553. 1. ამონაწერი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილების პროექტიდან.  
2. ნეიტროგრაფული გამოკვლევების მდგომარეობისა და ინტენსიფიკაციის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის დადგენილება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

## დასკვნები

4554. დასკვნა, რომელიც მიიღეს რეაქტორზე წარმოებული სამუშაოების შემოწმების შემდეგ.

1963 წ., 12 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

4555. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მუშაობის შემსწავლელი კომისიის დასკვნა. ხელს აწერენ: პროფ. ა. ჯანელიძე, პროფ. ვ. მამასახლისოვი, მეცნიერებათა კანდიდატი გ. სვანიძე.

უთარილო, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 20 ფ.

## დებულებები

4556. დებულება – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ჯავახიშვილისა და პ. მელიქიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემიების მინიჭების შესახებ.

1969 წ., ქართულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 2 ფ.

4557. დებულება – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის“ სამეცნიერო საბჭოს შესახებ.

1974 წ., 12 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 24 ფ.

4558. დებულება – „მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის“ პრობლემების სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს შესახებ. (საუბარია სამეცნიერო საბჭოს უფლება-მოვალეობების შესახებ).

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

4559. დებულება – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო შრომის კოორდინაციის რესპუბლიკური საბჭოს შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

4560. დებულება – სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის სამეცნიერო საბჭოს შესახებ. საუბარია საბჭოს უფლება – მოვალეობების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

### დირექტივები

4561. 1. სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს დირექტივა უმაღლეს სასწავლებლებში შტატების დაკომპლექტების ახალი პრინციპის შემოტანასთან დაკავშირებით ხელმძღვანელების როლისა და პასუხისმგებლობის გაზრდის შესახებ.

2. ბრძანება №638 – სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო-სამუშაო გეგმების და პროფესორ-მასწავლებელთა შორის სამუშაოთა განაწილების შესახებ.

3. ბრძანება №640 – თ. ლინსკაიას, გ. გაჩეჩილაძის, შ. ულენცისა და მ. სულხანაურისთვის გაფრთხილების მიცემის შესახებ.

1956 წ., 15 სექტემბერი, რუსულ და ქართულ ენებზე, ნაბეჭდი, 11 ფ.

4562. დირექტივა გაგზავნილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს – მდივან ნ. ლანდიას მიერ ელ. ანდრონიკაშვილთან. საუბარია იმაზე თუ როგორ უნდა მოიქცეს რუმინეთში, სადაც ორი კვირით მიემგზავრება.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

### ინსტრუქციები

4563. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ინსტრუქცია სამეცნიერო მივლინებაში მყოფი თანამშრომლების ანაზღაურების შესახებ.

1954 წ., 8 ივნისი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 6 ფ.

4564. ინსტრუქცია – სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების შესახებ.

1967 წ., რუსულ ენაზე, სტამბურად ნაბეჭდი, 11 ფ.

4565. ინსტრუქცია – მეთოდური მითითებანი ბიოგრაფიული სტატიების შესახებ.

უთარილო, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 9 ფ.

4566. ინსტრუქცია პროგნოზის ახსნა-განმარტებითი ბარათის შესადგენად.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 10 ფ.

## მასალები

4567. 1956 წ. 24-26 სექტემბერს შემდგარი ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომის მასალები.

1956 წ., სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 28 ფ.

4568. ფიზიკის ინსტიტუტის შემოწმების მასალები:

1. წინადადებები გაგზავნილი ელ. ანდრონიკაშვილის მიერ კომისიის თავმჯდომარე პროფ. ა. ჯანელიძესთან.
2. კომისიის ანგარიში ფართო ატმოსფერული ნიაღვრების ლაბორატორიის შესახებ.
3. კომისიის დასკვნა რეაქტორის შემოწმების შესახებ.
4. ინსტიტუტის წინადადებები მისი სტრუქტურის შეცვლის შესახებ და პრაქტიკული მიღწევები.
5. წინადადებები სამეცნიერო საბჭოს ახალი შემადგენლობის შესახებ.

1960-1963 წწ., რუსულ და ქართულ ენებზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 34 ფ.

4569. სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების არჩევასთან დაკავშირებით გამართული სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და გამოყენებითი ფიზიკის განყოფილების საერთო კრების მასალები.

1966 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 93 ფ.

4570. მასალები თ. საბადაშვილის ატესტაციისთვის.

1971 წ., მაისი, ქართულ ენაზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 10 ფ.

4571. მასალები ლ. გარსევანიშვილის ატესტაციისათვის.

[1971 წ., მაისი], ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 10 ფ.

4572. მასალები ფ. ცომიას ატესტაციისთვის.

[1971 წ., მაისი], ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია

ხელით, 10 ფ.

4573. მასალები ღ. სლივინას ატესტაციისთვის.

[1971 წ., მაისი], ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 10 ფ.

4574. მასალები ვ. გოგავას ატესტაციისთვის.

[1971 წ., მაისი], ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 10 ფ.

4575. მასალები ა. ნადიბაიძის ატესტაციისთვის.

1971 წ., 21 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 10 ფ.

4576. მასალები ი. ხალდეევას ატესტაციისთვის.

1971 წ., 21 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 8 ფ.

4577. მასალები ჯ. ანდულაძის ატესტაციისთვის.

1971 წ., 21 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 8 ფ.

4578. მასალები ღ. ჯინჭველაშვილის ატესტაციისთვის.

1971 წ., 21 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 8 ფ.

4579. მასალები ნ. კობიძის ატესტაციისთვის.

1971 წ., 21 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 8 ფ.

4580. მასალები გ. ბელცერკოვეცის ატესტაციისთვის.

1971 წ., 21 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 8 ფ.

4581. მასალები ნ. კახნიაშვილის ატესტაციისთვის.

1971 წ., 24 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 8 ფ.

4582. მასალები თ. გეწაძის ატესტაციისთვის.

1971 წ., 24 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები შევსებულია ხელით, 8 ფ.

4583. მასალები ვ. ნადარეიშვილის ატესტაციისთვის.  
1971 წ., 24 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები  
შევსებულია ხელით, 8 ფ.
4584. მასალები მ. ძნელაძის ატესტაციისთვის.  
1971 წ., 24 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები  
შევსებულია ხელით, 9 ფ.
4585. მასალები თ. შარაბიძის ატესტაციისთვის.  
1971 წ., 25 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები  
შევსებულია ხელით, 9 ფ.
4586. მასალები ნ. რუსიშვილის ატესტაციისთვის.  
1971 წ., 25 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები  
შევსებულია ხელით, 9 ფ.
4587. მასალები ღ. ვადაჭკორიას ატესტაციისთვის.  
1971 წ., 25 მაისი, ქართულ ენაზე, ბლანკები  
შევსებულია ხელით, 9 ფ.
4588. მასალები ს. გურგენოვის ატესტაციისთვის.  
1971 წ., 25 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები  
შევსებულია ხელით, 10 ფ.
4589. მასალები ვ. კოშტოევის ატესტაციისთვის.  
1971 წ., 26 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები  
შევსებულია ხელით, 10 ფ.
4590. მასალები ტ. სომოროვას ატესტაციისთვის.  
1971 წ., 26 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები  
შევსებულია ხელით, 9 ფ.
4591. მასალები ღ. ბერძენიშვილის ატესტაციისთვის.  
1971 წ., 26 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები  
შევსებულია ხელით, 9 ფ.
4592. მასალები ვ. ცხველაძის ატესტაციისთვის.  
1971 წ., 26 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები  
შევსებულია ხელით, 9 ფ.
4593. მასალები ე. ტიმოფეევას ატესტაციისთვის.



1971 წ., 26 მაისი, ქართულ და რუსულ ენებზე, ბლანკები  
შეესებულება ხელით, 9 ფ.

4594. მასალები პ. კაპიცას შესახებ.

1. წერილი - ელ. ანდრონიკაშვილი აკად. ა. პროხოროვს აცნობებს, რომ პ. კაპიცას შრომების შესახებ შეადგინა ორი სხვადასხვა ანოტაცია.
2. წარდგენა – აკად. ა. სევერინი პ. კაპიცას ნობელის პრემიაზე წარადგენს.
3. ანოტაცია – კაპიცას სამეცნიერო მუშაობის შესახებ.
4. ანოტაცია – პ. კაპიცას სამეცნიერო მუშაობის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, ხელით ნაწერი, 7 ფ.

### მისამართები

4595. კომიტეტების, საბჭოების, განყოფილებების, ინსტიტუტების, მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის, რესპუბლიკების მისამართები.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 13 ფ.

4596. თანამშრომელთა ტელეფონების ნომრები – სახლის და სამსახურის.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 19 ფ.

4597. გფრ-ში საბჭოთა საელჩოს მრჩევლის (მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში) მისამართი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4598. მონაცემები – ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის, პრაღაში საბჭოთა საელჩოს, ბრატისლავაში საბჭოთა საკონსულოს, ბრნოში საბჭოთა საკონსულოს, კარლოვი ვარიში საბჭოთა საკონსულოს შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4599. გიორგი ვიქტორის ძე ვეროცკის სავიზიტო ბარათი.

4600. ლიზა ანდრონიკოვას მისამართი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, ფანქარი, 1 ფ.

4601. კ. იაციმირსკის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

### მონაცემები

4602. მონაცემები 1951-1967 წლებში ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა რაოდენობის ზრდის შესახებ.

1967 წ., რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4603. 1. მონაცემები ფიზიკის ინსტიტუტში მომუშავეთა სამუშაო ფართობით უზრუნველყოფის შესახებ.

2. ცნობა – ფიზიკის ინსტიტუტის ობიექტების სასარგებლო ფართობის რაოდენობის შესახებ. ხელს აწერენ სომოროვი და რაზმაძე.

1969 წ., იანვარი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4604. მონაცემები 1970 წელს ჩატარებული კონფერენციებისა და თათბირების შესახებ.

1970 წ., რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4605. მონაცემები კანდიდატების, დოქტორების რაოდენობის, მეცნიერთანამშრომელთა ნაციონალური შემადგენლობის და ხელფასების შესახებ. ხელს აწერს ზ. მანჯავიძე.

1977 წ., 24 ოქტომბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 4 ფ.

4606. მონაცემები – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ცენტრალური კომიტეტის, პარტიის რაიკომის, ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 6 ფ.

4607. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მყარი სხეულების რადიაციული ფიზიკის სამეცნიერო საბჭოს მონაცემები და მოვალეობები. ერთვის საბჭოს წევრების სია.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

4608. მონაცემები სპეციალიზირებულ საბჭოს K 1143-ის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4609. მონაცემები მეცნიერთა რაოდენობის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4610. მონაცემები – სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებისთვის საჭირო ახალი ხელსაწყოებისა და დანადგარების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4611. მონაცემები თეორიული ფიზიკის განყოფილების თანამშრომლების შესახებ.

უთარილო, ქართულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4612. მონაცემები იაღლუზის სადგურის კოსმოსური სხივების ლაბორატორიის შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 1 ფ.

4613. მონაცემები – ფიზიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის შესახებ (წიგნებისა და ჟურნალების რაოდენობა, ვალუტის რაოდენობა საზღვარგარეთ ლიტერატურის შესაძენად; ცნობარების და წელიწდეულების რაოდენობა).

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 5 ფ.

4614. მონაცემები – გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის განყოფილების (თემატიკა, საშტატო ერთეულების განრიგი, განყოფილების სტრუქტურა) შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 8 ფ.

4615. მონაცემები თანამშრომელთა რაოდენობის, მიმართულებების შესახებ და ა. შ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ხელით ნაწერი, 2 ფ.

4616. მონაცემები – საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში 1981-1990 წლებში ფიზიკის ინსტიტუტის პუბლიკაციების შესახებ.

უთარილო, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 7 ფ.

## ოქმები

4617. ამონაწერი ურანის პრობლემების საბჭოს სხდომის ოქმიდან.

1940 წ., 28 სექტემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4618. ამონაწერი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1942 წ. 18 ივნისის სხდომის ოქმიდან სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

1942 წ., 4 ივლისი, ქართულ ენაზე, ნაბეჭდი, 1 ფ.

4619. მოლეკულური ფიზიკის კათედრის 1950 წ. 15 ნოემბრის სხდომის ოქმი №1.

1950 წ., 15 ნოემბერი, რუსულ ენაზე, ნაბეჭდი, 2 ფ.

4620. მოლეკულური ფიზიკის კათედრის 1950 წ. 31 დეკემბრის სხდომის ოქმი №2.

